გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ნარეკვავის საირიგაციო სისტემისთვის

YOOSHIN DASAN CONSULTANTS

ივნისი

2026

Contents

შესავალი 3

1. წინასიტყვაობა 5

2. საკანონმდებლო ჩარჩო 6

2.1. GRAIL-ის პროექტისთვის რელევანტური მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები 6

2.2. ქვეპროექტისთვის რელევანტური საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები 8

2.2.1. ეროვნული კანონმდებლობა 8

2.2.2. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები 17

3. საბაზისო ინფორმაცია 20

3.1. ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები 20

3.2. არსებული სარწყავი სისტემა და ჰიდროტექნიკური ნაგებობები 22

3.3. სარწყავი სისტემის არსებული კომპონენტები 23

4. პროექტის აღწერა 25

4.1. სარწყავი სისტემის საპროექტო გადაწყვეტა 25

4.2. სათავე ნაგებობისა და წყალმიმღები კვანძის საპროექტო გადაწყვეტა 26

4.3. ლიცენზირებული სამშენებლო მასალების უახლოესი წყაროები 27

5. საჯარო კონსულტაციები 29

6. საჩივრების განხილვის მექანიზმი 30

7. მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები და რისკების შერბილების მიდგომა 34

7.1. დადებითი ზემოქმედებები 34

7.2. უარყოფითი ზემოქმედებები – მოსამზადებელი ეტაპი 35

7.3. უარყოფითი ზემოქმედებები – მშენებლობის ეტაპი 35

7.4. უარყოფითი ზემოქმედებები – ექსპლუატაციის ეტაპი 35

7.5. ზემოქმედების შერბილების იერარქია 36

1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა 37

დანართი 2. სისტემის სქემატური ნახაზი 62

დანართი 3. ნარეკვავის საირიგაციო სისტემის არსებული მდგომარეობა 63

დანართი 4. საჩივრების განხილვის მექანიზმი 66

შესავალი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტს (GRAIL), რომელიც მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ყოველდღიურ მართვას უზრუნველყოფს სამინისტროს ფარგლებში შექმნილი პროექტის განმახორციელებელი ერთეული, რომლის ფუნქციებს შორისაა, მათ შორის, შესყიდვების განხორციელება, ხელშეკრულებების მართვა, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა.

პროექტის ერთ-ერთ ქვეპროექტს წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია. სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ შერჩეული სამშენებლო კომპანია (შემდგომში – კონტრაქტორი), ხოლო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ზედამხედველობას, უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ დაქირავებული საინჟინრო კომპანია (შემდგომში – ინჟინერი).

დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს არსებული სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, დაზიანებული წყალმიმღები და მარეგულირებელი ფარების შეცვლას, მთავარი არხის გაწმენდასა და რეაბილიტაციას, ასევე დაზიანებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების – აკვედუკის, სიფონის, წყალგამტარი მილების, საფეხმავლო ხიდებისა და წყალგამანაწილებელი ნაგებობების (გამშვებების) რეკონსტრუქციასა ან შეცვლას, რაც უზრუნველყოფს სარწყავი სისტემის საიმედო ფუნქციონირების აღდგენას.

დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციისა და ნარეკვავის არხის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სამუშაოები სრულად განხორციელდება არსებული არხის ტრასის, მისი განთვისების ზოლისა და/ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ფარგლებში. ყველა სამშენებლო ოპერაცია განხორციელდება არხის მარცხენა ნაპირიდან, ხოლო კონტრაქტორი ვალდებულია, თავიდან აიცილოს არხის მარჯვენა ნაპირზე მდებარე კერძო საკუთრებების ნებისმიერი სახის შეწუხება ან დაზიანება.

რეაბილიტაციის ტექნოლოგია ითვალისწინებს არხის კალაპოტში არსებული ნალექისა და მცენარეული საფარის გაწმენდას ძირითადად ხელით შესრულებული სამუშაოების საშუალებით. აღნიშნული მიდგომა შერჩეულია: (ა) არსებული არხის მოპირკეთების შესაძლო დაზიანების მინიმუმამდე დასაყვანად და (ბ) არხის მარჯვენა ნაპირზე მდებარე კერძო საკუთრებებზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. გაწმენდითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, ახალი მოპირკეთება მოეწყობა რეაბილიტირებულ არსებულ ზედაპირზე. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, ძირითადად არხის მარცხენა ნაპირზე განთავსებული ბეტონის შემრევის და რამდენიმე წინასწარ დამზადებული ბეტონის ელემენტის მცირე დამტვირთველის გამოყენებით მონტაჟისთვის. კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების ისეთი ორგანიზება და მართვა, რომ არ მოხდეს მიმდებარე კერძო საკუთრებისა და სხვა აქტივების დაზიანება.

არსებული საპროექტო გადაწყვეტის მიხედვით, სამუშაოების განხორციელება არ მოითხოვს კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას, მიწათსარგებლობის შეზღუდვას ან მოსახლეობის ფიზიკურ თუ ეკონომიკურ გადაადგილებას. შესაბამისად, ქვეპროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS5-ის (მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება) ფარგლებში

ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და დამატებითი განსახლების დოკუმენტის მომზადება საჭირო არ იქნება. კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა საქმიანობა განხორციელდეს დამტკიცებული საპროექტო საზღვრების ფარგლებში, ხოლო მიწასთან, წვდომასთან ან საარსებო წყაროებთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთსა და ინჟინერს, რათა პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად დროულად გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ვინაიდან ყველა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაო განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში, ქვეპროექტის განხორციელება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ან სოციალურ ზემოქმედებას.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის ESS1-ის – „გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა“ მოთხოვნების შესაბამისად, ქვეპროექტი, მისი ტიპის, ადგილმდებარეობის, მასშტაბისა და გარემოს მგრძნობელობის გათვალისწინებით, კლასიფიცირებულია საშუალო რისკის მქონე პროექტად.

GRAIL-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ადგენს ქვეპროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური მიზანშეწონილობის კვლევის (due diligence) პროცედურებს, მომზადდა გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარი (იხ. დანართი 1) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (გსმგ).

ნარეკვავის სარწყავი სისტემისთვის მომზადებული გსმს განსაზღვრავს არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის შედეგად მოსალოდნელ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებებს, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებსა და მონიტორინგის მექანიზმებს, რომელთა მიზანია ქვეპროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება.

ქვეპროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები იქნება დროებითი, ლოკალური და ძირითადად დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებთან. ძირითადი რისკები მოიცავს მტვრისა და ხმაურის წარმოქმნას, მოძრაობისა და მისასვლელების დროებით შეზღუდვას, შრომისა და საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნას, ზედაპირული წყლების ხარისხზე შესაძლო ზემოქმედებას და მიმდებარე მიწათმოსარგებლეებზე დროებით ზემოქმედებას. აღნიშნული ზემოქმედებების მართვა უზრუნველყოფილი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებით, მათ შორის მტვრის გავრცელების პრევენციის, ნარჩენების სათანადო მართვის, მოძრაობისა და უსაფრთხოების კონტროლის, დაბინძურების პრევენციის ღონისძიებების, მუშახელის ტრენინგებისა და სამშენებლო პერიოდის განმავლობაში გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის განხორციელების გზით.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტისა (ESF) და GRAIL-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) მოთხოვნების შესაბამისად, გსმგ-ს პროექტი გამოქვეყნდა და განხილულ იქნა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივი თემებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან საკონსულტაციო პროცესში მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები, გათვალისწინებულ იქნა გსმსგ-ს საბოლოო ვერსიაში. დამტკიცებული გსმგ საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

გსმგ-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორი, ხოლო მის შესრულებაზე ზედამხედველობას განახორციელებს ინჟინერი, რომელიც გააკონტროლებს გეგმით, სახელშეკრულებო დოკუმენტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეული განახორციელებს გსმგ-ს შესრულების საერთო ზედამხედველობას, მონიტორინგის ანგარიშების განხილვას, პერიოდულ საველე ინსპექტირებას და მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი შეუსაბამობის დროულ აღმოფხვრას შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების გზით.

1. წინასიტყვაობა

სოფლის მეურნეობის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს, იგი მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტისათვის წარმოადგენს შემოსავლისა და დასაქმების ძირითად წყაროს. ამასთან, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში აღნიშნული სექტორი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო მიწების დატბორვა და წყლით ჭარბად გაჯერება (წყალდაგუბება), განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სარწყავი სისტემების გამართული ფუნქციონირება აუცილებელი წინაპირობაა მაღალი პროდუქტიულობისა და სტაბილური მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მიმდინარე საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის ფარგლებში, დაგეგმა ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია.

GRAIL-ის პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ღონისძიებები მიზნად ისახავს შერჩეული სარწყავი და სადრენაჟე სისტემების განახლებასა და მოდერნიზაციას მოძველებული და ფუნქციადაკარგული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლებისა და სისტემების საერთო ფუნქციონირების გაუმჯობესების გზით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ერთ-ერთ სარწყავ ქვეპროექტს წარმოადგენს ნარეკვავის სარწყავი სისტემა, რომელიც მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთის მუნიციპალიტეტში.

GRAIL-ის პროექტის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში შექმნილი პროექტის განმახორციელებელი ერთეული, რომლის ფუნქციებს შორისაა შესყიდვების განხორციელება, ხელშეკრულებების მართვა, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა. ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას განახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ შერჩეული სამშენებლო კონტრაქტორი (შემდგომში – კონტრაქტორი). სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ მონიტორინგს, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანია (შემდგომში – ინჟინერი) უზრუნველყოფს.

2. საკანონმდებლო ჩარჩო

2.1. GRAIL-ის პროექტისთვის რელევანტური მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები

ვინაიდან GRAIL-ის პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, იგი, საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს. ESF მოიცავს 10 გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტს (ESS), რომელთაგან GRAIL-ის პროექტისთვის რელევანტურია:

ESS1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიცირება, მართვა და მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი მოთხოვნების განსაზღვრა და მიღწეული შედეგების შეფასება.

ESS2 – შრომისა და სამუშაო პირობები: შრომითი ურთიერთობები, დასაქმების პირობები, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმებულთა უფლებების დაცვა, მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი, მათ შორის კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორების მიერ დასაქმებული პერსონალისათვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ESS3 – რესურსების ეფექტური გამოყენება და დაბინძურების პრევენცია და მართვა: ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნის შემცირება, დაბინძურების პრევენცია და კონტროლი.

ESS4 – საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: პროექტის საქმიანობიდან, მუშაკების საქმიანობიდან, საგანგებო სიტუაციებიდან, უსაფრთხოების ღონისძიებებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე საზოგადოებისთვის შესაძლო რისკებისა და ზემოქმედების თავიდან აცილება და მართვა.

ESS5 – მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება: ფიზიკური და/ან ეკონომიკური გადაადგილების საჭიროების იდენტიფიცირება, დაგეგმვა, თავიდან აცილება ან შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ინფორმაციის გამჟღავნება და კონსულტაციების ჩატარება.

ESS6 – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა: ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების დაცვა და კონსერვაცია, ასევე ადგილობრივი თემების საარსებო წყაროების მხარდაჭერა.

ESS8 – კულტურული მემკვიდრეობა: მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

ESS10 – დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება: ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, პროექტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების გარდა, პროექტი ასევე იხელმძღვანელებს მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი სახელმძღვანელო მითითებებით (World Bank Group Environmental, Health and Safety Guidelines) და სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ESS1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა

ESS1 ადგენს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის საერთო ჩარჩოს. სტანდარტი მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ მდგრადობას და მის განხორციელებას შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის შესაბამისად, რაც მოიცავს ზემოქმედების თავიდან აცილებას, მინიმიზაციას, შერბილებას და, საჭიროების შემთხვევაში, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას.

ქვეპროექტი განხორციელდება ESS1-ის მოთხოვნების შესაბამისად და იხელმძღვანელებს GRAIL-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტით (ESMF), რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის, შეფასების, შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის, მონიტორინგის, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მართვის პროცედურებს ქვეპროექტის დონეზე.

ვინაიდან ნარეკვავის სარწყავი სისტემის ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები იქნება ლოკალური, დროებითი, დაბალი ან საშუალო მასშტაბის და ეფექტურად მართვადი წინამდებარე ESMP-ით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების გზით. აღნიშნული ღონისძიებები, მათ შორის, მოიცავს ნარჩენებისა და ამოღებული გრუნტის მართვას, მტვრის, ხმაურისა და მოძრაობასთან დაკავშირებული ზემოქმედებების კონტროლს, მიმდებარე მიწის ნაკვეთებისა და ქონების დაცვას, შრომისა და საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ღონისძიებებს, ასევე სამუშაოების დასრულების შემდეგ დროებით დაზიანებული ტერიტორიების აღდგენას.

ESS2 – შრომისა და სამუშაო პირობები

ESS2 არეგულირებს როგორც უშუალოდ პროექტში დასაქმებული, ასევე კონტრაქტით დასაქმებული მუშაკების შრომით პირობებს. GRAIL-ის პროექტის ფარგლებში შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და რისკების სამართავად მომზადებულია შრომითი რესურსების მართვის პროცედურები (Labor Management Procedures – LMP). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროექტის მიდგომას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისადმი, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისობაში. კერძოდ, იგი ეფუძნება ESS2-ის – „შრომისა და სამუშაო პირობები“ და ESS4-ის – „საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მოთხოვნებს.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის ქვეპროექტზე LMP-ის მოთხოვნების განხორციელება უზრუნველყოფს:

- სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას;
- პროექტის მუშაკების მიმართ სამართლიან მოპყრობას, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას;
- პროექტში დასაქმებულ მოწყვლად ჯგუფთა, მათ შორის ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, კანონით დასაშვები ასაკის არასრულწლოვანთა, მიგრანტი მუშაკების, კონტრაქტით დასაქმებული მუშახელის, ადგილობრივი მუშახელის და ძირითადი მომწოდებლების მუშახელის დაცვას;
- იძულებითი და ბავშვთა შრომის ყველა ფორმის გამორიცხვას;
- ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლების უზრუნველყოფას;

- დასაქმებულთათვის სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების წარდგენის ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მექანიზმის არსებობას.

გარდა ამისა, კონტრაქტორი და, საჭიროების შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორები ვალდებულნი იქნებიან შექმნან, დანერგონ და ეფექტიანად ფუნქციონირებადი გახადონ მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი ასევე უზრუნველყოფს სექსუალურ ექსპლუატაციასთან და ძალადობასთან (SEA) და სექსუალურ შევიწროებასთან (SH) დაკავშირებული საჩივრების კონფიდენციალურ და სათანადო განხილვას.

ESS3 – რესურსების ეფექტური გამოყენება და დაბინძურების პრევენცია

ESS3 მიზნად ისახავს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ბუნებრივი რესურსების დაცვასა და დაბინძურების პრევენციას. ESS3-ის მოთხოვნების შესაბამისად, ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდება ისეთი მიდგომით, რომელიც უზრუნველყოფს წყლის, ენერგიისა და სხვა რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ნარჩენების წარმოქმნის შემცირებას და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას.

ESS3-ის პრინციპების ინტეგრირება ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, გარემოზე ზემოქმედების შემცირებას და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის მდგრადობას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაზოგვას, ენერგოეფექტურობასა და დაბინძურების პრევენციას, საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვით.

პროექტის ბენეფიციარ ფერმერებს ჩაუტარდებათ ინტეგრირებული მავნებლების მართვის (Integrated Pest Management – IPM) ტრენინგები, რაც უზრუნველყოფს პესტიციდების ოპტიმალურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებების ეფექტიან კონტროლს და აგრობიომრავალფეროვნებაზე, ნიადაგსა და ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას.

2.2. ქვეპროექტისთვის რელევანტური საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა და საერთაშორისო შეთანხმებები

GRAIL-ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ყველა საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთა მონაწილე მხარესაც საქართველო წარმოადგენს, ასევე პროექტისთვის რელევანტურ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESS).

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისათვის რელევანტურია ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო კონვენციები.

2.2.1. ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (რეგ. №300.310.000.05.001.001.914; 24.06.2005; ბოლო ცვლილება – 01.04.2026)

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ საქმიანობებს, რომლებმაც შესაძლოა გაზარდოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხე, შეეხოს სახელმწიფოს ან საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესებს, ან დაკავშირებული იყოს სახელმწიფო რესურსების გამოყენებასთან. კანონი ადგენს ასეთი საქმიანობების სრულ ჩამონათვალს, მათზე ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების ვალდებულებას, ასევე არეგულირებს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, ცვლილებისა და გაუქმების წესს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და დემონტაჟის სამუშაოები არ ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. ვინაიდან ნარეკვავის სარწყავი სისტემის ფარგლებში დაგეგმილია მხოლოდ არსებული სარწყავი ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, თავად ქვეპროექტისთვის გარემოსდაცვითი ნებართვის მიღება საჭირო არ არის.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში, მოსალოდნელი არ არის ბეტონის ან ინერტული მასალების დამამუშავებელი (სამსხვრევი) საწარმოს მოწყობა, რადგან ქვეპროექტი ძირითადად მოიცავს არსებული სათავე ნაგებობის, მთავარი არხისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაციას, მათ შორის ნალექისა და მცენარეული საფარის გაწმენდას, არხის შეკეთებასა და დაზიანებული ნაგებობების შეცვლას ან რეკონსტრუქციას. ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები შეძენილი იქნება ადგილობრივი მწარმოებლებისაგან, შესაბამისად, კონტრაქტორს სამშენებლო მასალების მოპოვების ლიცენზიის მიღება არ მოეთხოვება.

ამასთან, კონტრაქტორი ვალდებულია, ბუნებრივი სამშენებლო მასალები შეიძინოს მხოლოდ იმ მომწოდებლებისაგან, რომლებიც ფლობენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორს დასჭირდება მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემით სარგებლობა, შესაბამისი თანხმობა უნდა იქნეს მიღებული შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისი რეგიონული ერთეულისგან ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან. წყალმომარაგების წყაროს შერჩევის შესახებ გადაწყვეტილება კონტრაქტორმა უნდა მიიღოს სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობის განსაზღვრამდე (ასეთის მოწყობის საჭიროების შემთხვევაში). თუ საჭირო გახდება ახალი ჭაბურღილის მოწყობა, კონტრაქტორმა შესაბამისი ლიცენზია უნდა მიიღოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსგან.

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (რეგ. №360.000.000.05.001.000.184; 10.12.1996; ბოლო ცვლილება – 28.04.2026)

კანონი ადგენს გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს. მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება, საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაბალანსება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების რეგულირების ინტეგრირებული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ვინაიდან ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია ითვალისწინებს არსებული არხის ტრასის გასწვრივ სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან გარემოსდაცვით რისკებთან ან ზემოქმედებასთან. პროექტის ტიპის, ადგილმდებარეობის, მასშტაბისა და გარემოს მგრძნობელობის გათვალისწინებით, მშენებლობის ეტაპზე გარემოსდაცვითი რისკები შეფასებულია, როგორც საშუალო. მოსალოდნელი გარემოსდაცვითი ზემოქმედებები შემოიფარგლება უშუალოდ პროექტის არეალით, არ გავრცელდება მის ფარგლებს გარეთ და არ იქნება შეუქცევადი.

ამასთან, ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდება მდგრადობის, რისკების შემცირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპების დაცვით.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (რეგ. №360160000.05.001.018492; 01.06.2017; ბოლო ცვლილება – 28.04.2026)

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი წარმოადგენს საქართველოს ძირითად გარემოსდაცვით საკანონმდებლო აქტს, რომელიც არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურებსა და კანონით განსაზღვრული საქმიანობებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესს. კოდექსი განსაზღვრავს გარემოსდაცვითი სკრინინგის, სკოპინგის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების და ნებართვის გაცემის პროცედურებს, ასევე ამ პროცესში ჩართული მხარეების უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს.

კოდექსი შეიცავს ორ დანართს, რომლებშიც მოცემულია საქმიანობების ჩამონათვალი. I დანართში შეტანილი საქმიანობები სავალდებულოდ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. II დანართში მოცემული საქმიანობები გადიან სკრინინგის პროცედურას, რომლის საფუძველზეც დგინდება გზშ-ის ჩატარების აუცილებლობა. საქმიანობები, რომლებიც არც ერთ დანართში არ არის შეტანილი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას არ ექვემდებარება.

II დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის პროექტის განმახორციელებელი ამზადებს სკრინინგის ანგარიშს, ხოლო გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის – სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს. აღნიშნულ დოკუმენტებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო აქვეყნებს, უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მიღებას და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამტკიცების შემთხვევაში გაიცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს პროექტის განხორციელების უფლებას განსაზღვრული პირობების დაცვით. ამ პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

კოდექსი ასევე არეგულირებს სხვა გარემოსდაცვით ინსტრუმენტებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი აუდიტი, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვითი შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება. თუმცა, იგი არ ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტების, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვების ან დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების (ESMP) მომზადებასა და გამოყენებას.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. თუმცა, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მომწოდებლებს შესაძლოა გააჩნდეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები, რომელთა პირობების შესრულებაც უნდა გადამოწმდეს. ასევე, შესაძლებელია, რომ რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებული გარკვეული დამხმარე საქმიანობები (მაგალითად, სამშენებლო ბანაკის მოწყობა) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს მიეკუთვნებოდეს. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება სკრინინგის პროცედურის გავლა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შესაბამისი შეთანხმების მიღება.

საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი (რეგ. №360160000.05.001.017608; 26.12.2014; ბოლო ცვლილება – 29.04.2026)

ნარჩენების მართვის კოდექსი ადგენს სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვის სამართლებრივ ჩარჩოს. იგი განსაზღვრავს ნარჩენების მართვის იერარქიას, რომელიც იწყება ნარჩენების წარმოქმნის პრევენციით და სრულდება მათი საბოლოო განთავსებით. ამასთან, კოდექსი ეფუძნება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებს და ხელს უწყობს ნარჩენების ხელახლა გამოყენებასა და გადამუშავებას.

სამშენებლო ბანაკზე (ასეთის მოწყობის შემთხვევაში) წარმოქმნილი ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენები შეგროვდება განცალკევებით და მათი გატანა განხორციელდება კონტრაქტორის მიერ შერჩეული და ინჟინრის მიერ დამტკიცებული ქვეკონტრაქტორის მეშვეობით. ბანაკზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კონტეინერებში და მათი გატანა განხორციელდება მუნიციპალური მომსახურების ფარგლებში.

არხის გაწმენდის შედეგად ამოღებული მასალის ძირითადი ნაწილი, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობების რეკონსტრუქციის პროცესში უკუყრილის მოსაწყობად, ასევე სამუშაო ტერიტორიების აღსადგენად. ჭარბი სამშენებლო ნარჩენები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსდება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისა და/ან შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან საქართველოში სახიფათო ნარჩენების პოლიგონები არ არსებობს, ასეთი ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სპეციალიზებულ კომპანიებს მათი გაუვნებლების, აღდგენისა და/ან გრძელვადიანი უსაფრთხო შენახვის მიზნით.

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (რეგ. №400.000.000.05.001.000.253; 26.10.1997; ბოლო ცვლილება – 07.2023)

აღნიშნული კანონი არეგულირებს საქართველოს წყლის რესურსების, მათ შორის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, გამოყენებასა და დაცვას. კანონის მიზანია წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყლის ეკოსისტემებისა და წყლის ბიოლოგიური რესურსების დაცვა, წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა, წყლის პროდუქტების სამრეწველო წარმოების რეგულირება, აგრეთვე წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად მართვაში. სარწყავი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად გაიზრდება წყლის მიწოდების ეფექტიანობა და შემცირდება წყლის დანაკარგები სისტემაში. აღნიშნული შედეგები ხელს შეუწყობს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას როგორც დღევანდელი, ისე მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება წყლის რესურსების მართვისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს.

საქართველოს კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ (რეგ. №400000000.05.001.021003; მიღებულია 30.06.2023; ბოლო ცვლილება – 26.06.2025)

აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოში წყლის რესურსების მართვის თანამედროვე, ინტეგრირებული სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება და წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. კანონი ითვალისწინებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მდგრად გამოყენებას, წყლის ხარისხის შემდგომი გაუარესების თავიდან აცილებას, წყლის ეკოსისტემებისა და მათზე დამოკიდებული ხმელეთისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემების აღდგენასა და გაუმჯობესებას, წყლის რესურსების სამართლიან გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, ეკონომიკური ინსტრუმენტების (მათ შორის წყლის აღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების მოსაკრებლების) დანერგვას, მდინარის აუზის მართვის

პრინციპის გამოყენებას და წყლის გამოყენებისა და დაცვის სფეროში ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

საქართველოში ეტაპობრივად მიმდინარეობს 1997 წლის „წყლის შესახებ“ კანონის ჩანაცვლება 2023 წლის „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონით. 1997 წლის კანონი ძალაში რჩება 2026 წლის 1 სექტემბრამდე, როდესაც 2023 წლის კანონის ძირითადი დებულებები ამოქმედდება. შესაბამისად, თუ ნარეკვავის სარწყავი სისტემის სამუშაოები დასრულდება 2026 წლის 1 სექტემბრამდე, მათზე გავრცელდება 1997 წლის კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები გაგრძელდება აღნიშნული თარიღის შემდეგ, ისინი განხორციელდება 2023 წლის კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის მდინარის აუზის მართვის, წყლის აღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნებართვების, აგრეთვე გაძლიერებული მონიტორინგისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ (რეგ. №370.010.000.05.001.000.080; 12.05.1994; ბოლო ცვლილება – 11.2021)

აღნიშნული კანონის მიზანია ნიადაგის მთლიანობისა და ნაყოფიერების დაცვა და გაუმჯობესება, მიწის მესაკუთრეების, მიწის მოსარგებლეებისა და სახელმწიფოს უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრა ნიადაგის დაცვის სფეროში, გარემოსდაცვითად მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, სასუქების გამოყენებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სუბალპურ და ალპურ ზონებში ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დაცვა, აგრეთვე მელიორაციული ღონისძიებების კოორდინაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სტაბილური და მაღალი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია სრულად შეესაბამება აღნიშნული კანონის მიზნებს, ვინაიდან მისი განხორციელების შედეგად აღდგება სარწყავი წყლის საიმედო მიწოდება, შემცირდება დაზიანებული არხიდან წყლის ფილტრაციით გამოწვეული დანაკარგები და გაუმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წყლის რეგულირებული მიწოდება. მთავარი არხის, წყალმიმღები ნაგებობებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს დაზიანებული მონაკვეთებიდან წყლის გაჟონვით გამოწვეული ადგილობრივი დაჭაობების შემცირებას, წყლის ტრანსპორტირების ეფექტიანობის გაზრდასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგრად გამოყენებასა და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას.

მიწის სამუშაოების განხორციელებისას ნაყოფიერი ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას, ცალკე დასაწყობდეს და გამოყენებულ იქნეს ტერიტორიის აღსადგენად უკუყრილის დასრულების შემდეგ. იგივე მოთხოვნა ვრცელდება ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისას განხორციელებულ მიწის სამუშაოებზეც. გარდა ამისა, კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნიადაგის დაბინძურების რისკების მართვა, მათ შორის საწვავის, საპოხი მასალებისა და სხვა სახიფათო ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია.

საქართველოს კანონი „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ (რეგ. №370.010.000.05.001.001.274; 08.05.2003; ბოლო ცვლილება – 30.06.2023)

აღნიშნული კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონებს „წყლის შესახებ“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, „ნიადაგის დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, სხვა საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონი არეგულირებს ნიადაგში მავნე ნივთიერებების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ზღვრულად დასაშვები

კონცენტრაციების დადგენასა და დაცვას, ასევე განსაზღვრავს ნიადაგის დაცვის, ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (რეგ. №420.000.000.05.001.000.595; 22.06.1999; ბოლო ცვლილება – 02.07.2025)

აღნიშნული კანონის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის აუცილებელი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და გაუმჯობესება, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის რეგულირება, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საქართველოში ევროკავშირის ჰაერის ხარისხის სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვის ხელშეწყობა.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია ხმაურისა და ატმოსფერული ემისიების წარმოქმნა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზემოქმედება იქნება დროებითი და ლოკალური, კონტრაქტორი ვალდებულია, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყოს ხმაურისა და ემისიების მინიმალურ დონემდე შემცირება.

საქართველოს ტყის კოდექსი (რეგ. №390000000.05.001.019838; 22.05.2020; ბოლო ცვლილება – 25.11.2025)

ტყის კოდექსი არეგულირებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მისი მიზანია საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების უზრუნველსაყოფად ტყის ხარისხობრივი მახასიათებლებისა და ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება, ტყეში არსებული ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა სახეობების დაცვა მომავალი თაობებისათვის, ასევე ტყის რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და ტყის მდგრადი მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

ტყის კოდექსის მოთხოვნები ქვეპროექტზე არ გავრცელდება, რადგან ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები არ განხორციელდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (რეგ. №360.050.000.05.001.000.127; 07.03.1996; ბოლო ცვლილება – 04.2022)

კანონი ემსახურება საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებას. იგი განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების კატეგორიებს და თითოეული კატეგორიის ფარგლებში დასაშვებ საქმიანობებს.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები არ არის მოსალოდნელი, რომ ზემოქმედებას მოახდენს დაცულ ტერიტორიებზე.

საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ (რეგ. №360.060.000.05.001.001.297; 06.06.2003; ბოლო ცვლილება – 02.07.2025)

აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შედგენისა და წარმოების წესს, რომლებიც მოიცავს საქართველოში გავრცელებულ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს. კანონი კრძალავს წითელ ნუსხაში

შეტანილ სახეობებსა და მათ ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენას და აწესებს შეზღუდვებს ბუნებრივი გარემოდან დაცული სახეობების ინდივიდების ამოღებაზე.

კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროექტის განხორციელების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება დეტალური ეკოლოგიური კვლევები პროექტის არეალში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების არსებობის დასადგენად. ასეთი სახეობების გამოვლენის შემთხვევაში განხორციელდება მათი მდგომარეობის მონიტორინგი და, საჭიროებისამებრ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ინდივიდების გადატანა (ტრანსლოკაცია), ბუფერული ზონების მოწყობა და სამუშაოების დაგეგმვა დაცული სახეობებისთვის მგრძნობიარე პერიოდების თავიდან აცილების მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეების მოჭრის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება, მიღებული იქნება ყველა კანონით გათვალისწინებული ნებართვა, თანხმობა და განხორციელდება შესაბამისი პროცედურები, მათ შორის სახეობის წითელი ნუსხიდან ამორიცხვის პროცედურა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღება.

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ (რეგ. №360150000.05.001.020241; 23.07.1999; ბოლო ცვლილება – 26.06.2025)

აღნიშნული კანონის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, გარემოსათვის, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტებისათვის, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის სახიფათო ნივთიერებების ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. კანონი ასევე განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გადასახდელებისა და კომპენსაციების დაანგარიშებისა და დაკისრების წესს.

ქვეპროექტის განხორციელებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სახიფათო ნივთიერებები (მაგალითად, ნავთობპროდუქტები, დიზელის საწვავი და სხვა). ავარიული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში გამოყენებული იქნება აღნიშნული კანონის შესაბამისი მოთხოვნები.

საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (რეგ. №020.060.040.05.001.000.670; 23.07.1999; ბოლო ცვლილება – 06.2023)

აღნიშნული კანონი სახელმწიფოს ანიჭებს უფლებამოსილებას, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია. ექსპროპრიაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ სასამართლოს მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას. ექსპროპრიაციის განმახორციელებელი ვალდებულია, პირველ რიგში, გამოიყენოს მოლაპარაკების ყველა გონივრული შესაძლებლობა და მოლაპარაკებების დაწყებამდე საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია არ საჭიროებს კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას.

საქართველოს შრომის კოდექსი (რეგ. №270000000.04.001.016012; 17.12.2010; ბოლო ცვლილება – 04.2025)

საქართველოს შრომის კოდექსი არეგულირებს შრომით ურთიერთობებსა და ადამიანური რესურსების მართვის ძირითად საკითხებს საქართველოში მოქმედ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. კოდექსი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ხელშეწყობას სამართლიანი ანაზღაურებისა და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის გზით. იგი ადგენს დასაქმების გარანტიებს, სამუშაო დროის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებს და სხვა მნიშვნელოვან მოთხოვნებს. კოდექსის შესაბამისად, დასაქმების მინიმალური ასაკი 14 წელია, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირებისათვის დაწესებულია როგორც გარკვეული სამუშაოების შესრულების შეზღუდვები, ისე სამუშაო დროის სპეციალური მოთხოვნები.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (რეგ. №270000000.04.001.017910; 19.02.2019; ბოლო ცვლილება – 06.2025)

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს საშიშ, მძიმე, მავნე და მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოებზე. კანონი დამსაქმებელს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს დასაქმებულთათვის უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო გარემო, ასევე მიაწოდოს მათ ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამების ორგანიზებას, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების უზრუნველყოფას, სახიფათო ზონებზე წვდომის კონტროლს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უფასოდ მიწოდებასა და დასაქმებულთა სამედიცინო შემოწმებას.

კონტრაქტორი ვალდებული იქნება უზრუნველყოს მუშაკებისთვის უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო გარემო, რეგულარულად ჩაატაროს უსაფრთხოების ტრენინგები და ყოველდღიური ინსტრუქტაჟები (toolbox talks), უფასოდ უზრუნველყოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (PPE), გააკონტროლოს სახიფათო ზონებზე წვდომა და შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და უბედური შემთხვევების მართვის პროცედურები. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებას მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში გააკონტროლებენ კონტრაქტორი, ინჟინერი და დამკვეთი.

აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება როგორც რეაბილიტაციის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე.

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (რეგ. №470.000.000.05.001.002.920; 27.06.2007; ბოლო ცვლილება – 09.12.2025)

აღნიშნული კანონის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. იგი განსაზღვრავს მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ შესაბამისად, დამტკიცებულია გარემოს ხარისხობრივი ნორმები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა პროექტის განხორციელების პროცესში.

აღნიშნული კანონის მოთხოვნები გავრცელდება როგორც რეაბილიტაციის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. კონტრაქტორი ვალდებული იქნება სამშენებლო მოედანზე უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებების არსებობა და შესაბამისი მომზადების მქონე პერსონალის ხელმისაწვდომობა საგანგებო სიტუაციებზე

რეაგირებისათვის. ნებისმიერი საგანგებო შემთხვევის დროს კონტრაქტორი დაუყოვნებლივ დაუკავშირდება გადაუდებელი დახმარების სამსახურს (112), რომელიც უზრუნველყოფს კოორდინაციას მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედ შესაბამის საგანგებო სამსახურებთან.

საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (რეგ. №450.030.000.05.001.002.815; 08.05.2007; ბოლო ცვლილება – 12.2024)

აღნიშნული კანონი უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. იგი არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების სამართლებრივ საკითხებს, ადგენს კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და რეესტრის წარმოების პრინციპებს, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი ასევე მოიცავს შემთხვევითი აღმოჩენის (Chance Find) მართვის პროცედურებს და განსაზღვრავს ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელების წესს იმ ტერიტორიებზე, სადაც წინასწარი კვლევის საფუძველზე შესაძლოა არქეოლოგიური ობიექტების არსებობა იყოს მოსალოდნელი.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის საპროექტო არეალში კულტურული ან ისტორიული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ობიექტები იდენტიფიცირებული არ არის. თუმცა, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას არქეოლოგიური მნიშვნელობის ობიექტების შემთხვევითი აღმოჩენის შესაძლებლობა სრულად გამორიცხული არ არის. ასეთ შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოები დაუყოვნებლივ შეჩერდება და ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს.

ტექნიკური რეგლამენტები

ქვეპროექტის განხორციელებისას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებული იქნება შემდეგი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები:

- **ტექნიკური რეგლამენტი №414** – ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ;
- **საქართველოს მთავრობის №440 დადგენილება** – წყლის დაცვის ზონების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- **ტექნიკური რეგლამენტი** – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების გაანგარიშების შესახებ;
- **საქართველოს მთავრობის დადგენილება** – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
- **საქართველოს მთავრობის №370 დადგენილება** – საცხოვრებელ სახლებში და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
- **საქართველოს მთავრობის 2013 წლის №424 დადგენილება** – ნაყოფიერი ნიადაგის ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ;
- **საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება** – მშენებლობის უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული რეგლამენტი განსაზღვრავს სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოების ნორმებსა და პროცედურებს

და ადგენს მოთხოვნებს სამშენებლო მოედნებზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად;

- **საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება** – სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ. რეგლამენტი განსაზღვრავს სიმაღლეზე სამუშაოების შესრულების სპეციალურ უსაფრთხოების მოთხოვნებს, მათ შორის დაცემის საწინააღმდეგო ღონისძიებებს. დამსაქმებელი ვალდებულია ჩაატაროს შესაბამისი რისკების შეფასება და განახორციელოს ყველა აუცილებელი პრევენციული ღონისძიება სიმაღლიდან დაცემის რისკის თავიდან ასაცილებლად.

2.2.2. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები

ცხრილი 1. საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები

თარიღი	**სათაური**	**სტატუსი საქართველოში**	**თარიღი**
	ბუნებრივი გარემო		
1971	რამსარის კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ, განსაკუთრებით წყალმცურავი ფრინველების ჰაბიტატების დაცვის მიზნით	ძალაშია	1997
1973	ველური ფლორისა და ფაუნის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია (CITES)	ძალაშია	1996
1983	ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენცია (ბონის კონვენცია) (CMS)	ძალაშია	2000
1992	ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (რიოს კონვენცია)	ძალაშია	1994
2000	ბიოუსაფრთხოების კარტახენის პროტოკოლი ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში	ძალაშია	2009
2010	ევროპული ლანდშაფტის კონვენცია	ძალაშია	2011
	გარემოს დაბინძურება, ნარჩენები		
1997	ამოწურული ბირთვული საწვავის მართვის უსაფრთხოების და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის უსაფრთხოების შესახებ ერთობლივი კონვენცია	ძალაშია	2009
1998	როტერდამის კონვენცია საერთაშორისო ვაჭრობაში გარკვეული საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პესტიციდების წინასწარი ინფორმირებული თანხმობის (PIC) პროცედურის შესახებ	ძალაშია	2007
1989	ბაზელის კონვენცია საშიში ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაადგილების კონტროლისა და მათი განთავსების შესახებ	ძალაშია	1995

2001	სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ	ძალაშია	2007
კლიმატი			
1994	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)	ძალაშია	1994
1997	კიოტოს პროტოკოლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში	ძალაშია	2005
კულტურული მემკვიდრეობა			
1954	ევროპული კულტურული კონვენცია	ძალაშია	1997
1982	ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ	ძალაშია	2000
1985	ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია	ძალაშია	2000
2005	ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივი ღირებულების შესახებ (ფაროს კონვენცია)	ძალაშია	2011

საჯარო მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა			
1998	აარჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ	რატიფიცირებულია	2004
შრომითი საკითხები			
1930	იძულებითი შრომის კონვენცია	ძალაშია	1993
1948	ორგანიზების უფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების კონვენცია	ძალაშია	1993
1950	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია	ძალაშია	1999
1958	დისკრიმინაციის (დასაქმებისა და საქმიანობის სფეროში) კონვენცია	ძალაშია	1993
1962	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სოციალური პოლიტიკის (ძირითადი მიზნები და სტანდარტები) კონვენცია	ძალაშია	1997
1964	დასაქმების პოლიტიკის კონვენცია (ჟენევა)	ძალაშია	1993

1973	დასაქმებაზე დაშვების მინიმალური ასაკის შესახებ ჟენევის კონვენცია	ძალაშია	1996

3. საბაზისო ინფორმაცია

3.1. ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

ნარეკვავის სარწყავი სისტემა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქალაქ თბილისიდან დაახლოებით 60–70 კმ-ის დაშორებით. სისტემა განლაგებულია მუხრანის ველზე და წყლით მარაგდება ნარეკვავის წყალსაცავიდან, რომელიც მდებარეობს სოფელ გრემისხევში, ნარეკვავის მდინარეზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 889 მ სიმაღლეზე. სარწყავი სისტემის მომსახურების არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტს, რომელიც ხასიათდება სუსტად დაქანებული რელიეფით, ბაზალტური პლატოებითა და ნაყოფიერი ნიადაგებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სარწყავი მიწათმოქმედებისათვის.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტებითა და მაღალი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით. რეგიონის ჩრდილოეთი ნაწილი წარმოდგენილია დიდი კავკასიონის მთათა სისტემით, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი მწვერვალებით, როგორიცაა ყაზბეგი, ხოლო სამხრეთის მიმართულებით რელიეფი თანდათან გადადის შედარებით დაბალმთიან და ვაკე ტერიტორიებში, მათ შორის მუხრანის ველზე. აღნიშნული ვაკე ტერიტორიები ხასიათდება სოფლის მეურნეობისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, სუსტად დაქანებული რელიეფითა და მაღალი ნაყოფიერების ნიადაგებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო ზონას წარმოადგენს არაგვისა და ნარეკვავის მდინარეებს შორის მდებარე ბაზალტური პლატო, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 875–950 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ტერიტორიის რელიეფს ასევე აყალიბებს მცირე შენაკადების – საკრამულოსხევის, ხანათხევისა და ტინაშხევის – ხეობები, რომლებიც ქმნის სოფლის დასახლებებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისათვის ხელსაყრელ ლანდშაფტს. სწორედ ამ გარემოში მდებარეობს ნარეკვავის წყალსაცავი და მასთან დაკავშირებული სარწყავი სისტემის მომსახურების არეალი, სადაც ხელმისაწვდომი რელიეფი და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები ქმნის მნიშვნელოვან პოტენციალს სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

სურათი 1. ნარეკვავის სარწყავი სისტემის მდებარეობა

ნარეკვავის სარწყავი სისტემის წყალმომარაგების ძირითად წყაროს წარმოადგენს ნარეკვავის წყალსაცავი. დროთა განმავლობაში წყალსაცავში ნატანის დაგროვებამ შეამცირა მისი

სასარგებლო მოცულობა და გააუარესა წყალმიმღები ნაგებობის ფუნქციონირება, რაც უარყოფითად აისახა სარწყავი წყლის მიწოდების ეფექტიანობასა და მთლიანად სისტემის გამართულ მუშაობაზე.



სურათი 2. ნარეკვავის სარწყავი სისტემის მთავარი არხი და მომსახურების არეალი

საპროექტო ტერიტორიაზე საშუალო წლიური ნალექის რაოდენობა დაახლოებით 857 მმ-ს შეადგენს, თუმცა ნალექები წლის განმავლობაში არათანაბრად ნაწილდება და მათი ძირითადი ნაწილი მოდის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში. ბოლო წლებში რეგიონში შეინიშნება კლიმატის ცვალებადობის ზრდა, რაც გამოიხატება გვალვის პერიოდების გახშირებითა და ინტენსიური ნალექების ეპიზოდური მოვლენებით. ტემპერატურის მატებამ და ნალექების განაწილების ცვლილებამ კიდევ უფრო გაზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალზე მოთხოვნა და ევაპოტრანსპირაციის ინტენსივობა. აღნიშნულ პირობებში სარწყავი სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობისა და მშრალ პერიოდებში მოსავლიანობის უზრუნველყოფაში, ვინაიდან მხოლოდ ბუნებრივ ნალექებზე დაფუძნებული მიწათმოქმედება მომსახურების არეალში ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ და ეკონომიკურად ეფექტიან წარმოებას.

ნარეკვავის სარწყავი სისტემა წყლით მარაგდება ნარეკვავის წყალსაცავიდან, რომელიც ქვედა დინებაში მდებარე სარწყავი ფართობებისათვის წყლის ძირითად რეგულირებულ წყაროს წარმოადგენს. თავდაპირველად სისტემა დაპროექტებული იყო 1.0 $მ^3$/წმ ხარჯის გასატარებლად, თუმცა საველე დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ამჟამად ხელმისაწვდომი წყლის ხარჯი დაახლოებით 0.5 $მ^3$/წმ-ს შეადგენს. დროთა განმავლობაში წყალსაცავში დაგროვდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ნატანი, რომლის მოცულობა 1.2 მილიონ კუბურ მეტრს აღემატება, რამაც არსებითად შეამცირა წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა. გარდა ამისა, მდინარის წყალი, განსაკუთრებით წყალუხვობის პერიოდში, ხასიათდება მაღალი სიმღვრივით. წყალსაცავის მოცულობის შემცირებამ, წყალმიმღებთან

ნატანის დაგროვებამ და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკურმა ცვეთამ მნიშვნელოვნად შეამცირა მომსახურების არეალში სარწყავი წყლის მიწოდების საიმედოობა და ეფექტიანობა. მთავარი სარწყავი არხის სიგრძე 7.636 კმ-ია. სისტემას არ გააჩნია მეორეული არხები, ხოლო წყლის განაწილება ხორციელდება 23 წყალგამანაწილებელი ნაგებობის (გამშვების) მეშვეობით.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის ტერიტორიაზე მცენარეული საფარი ძირითადად წარმოდგენილია მდინარისპირა ბუჩქნარით, ბალახოვანი მცენარეებითა და სეზონური სარეველა მცენარეებით, რომლებიც გავრცელებულია მდინარის ნაპირებსა და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიებზე. მიმდებარე მაღლობები დაფარულია შერეული ტყით, რომელიც წარმოდგენილია როგორც წიწვოვანი, ისე ფოთლოვანი ხეების სახეობებით. სარწყავი სისტემის მომსახურების არეალში მიწათსარგებლობის ძირითადი ფორმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია, სადაც ბუნებრივი მცენარეულობა უმეტესწილად კულტურულმა სავარგულებმა ჩაანაცვლა. არხის განთვისების ზოლში არსებული მცენარეულობა ძირითადად მეორეული წარმოშობისაა, რაც მრავალწლიანი ნატანის დაგროვებისა და არასაკმარისი მოვლის შედეგია.

ნარეკვავის მდინარის წყლის ეკოსისტემა წარმოდგენილია რამდენიმე ფართოდ გავრცელებული მტკნარი წყლის თევზის სახეობით, მათ შორის ჩვეულებრივი კობრით (*Cyprinus carpio*), ევროპული ქაშაპით (*Squalius cephalus*) და წვერა (*Barbus barbus*). აღნიშნული სახეობები დამახასიათებელია რეგიონში არსებული საშუალო დინების მდინარეებისთვის. საველე კვლევის ფარგლებში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ან სხვა დაცული სახეობები არ გამოვლენილა, ხოლო საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არც კრიტიკული ჰაბიტატის და არც დაცული ტერიტორიის ფარგლებში.

სარწყავი სისტემის მომსახურების არეალში სოფლის მეურნეობა მრავალპროფილურ ხასიათს ატარებს და მოიცავს ხორბლის, სიმინდის, ვაშლის ბაღების, კენკროვანი კულტურების, პომიდვრის, სხვადასხვა ბოსტნეული კულტურისა და საკვები კულტურების წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს, საველე დათვალიერებისას არხის ცალკეულ მონაკვეთებზე დაფიქსირდა გამოყენებული პესტიციდების ტარის არასათანადო განთავსების შემთხვევები. აღნიშნული პრაქტიკა ადგილობრივ დონეზე ქმნის წყლის ხარისხისა და წყლის ეკოსისტემების დაბინძურების რისკს და მიუთითებს აგროქიმიკატების მართვის გაუმჯობესებისა და ფერმერთა ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე, როგორც სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი ეფექტიანი ექსპლუატაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე.

ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, მათ შორის ხელმისაწვდომი რელიეფი, ნაყოფიერი ნიადაგები და წყალსაცავიდან სარწყავი წყლით უზრუნველყოფა, ქმნის ხელსაყრელ პირობებს მომსახურების არეალში სარწყავი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

3.2. არსებული სარწყავი სისტემა და ჰიდროტექნიკური ნაგებობები

ნარეკვავის სარწყავი სისტემა მოიცავს სოფელ ქვემო შუხევის მიმდებარედ მდებარე წყალმიმღებ სათავე ნაგებობას, 7.636 კმ სიგრძის მთავარ არხს, 23 წყალგამანაწილებელ (გამშვებ) ნაგებობას, აკვედუკს, სიფონს, წყალგამტარ მილებს, საფეხმავლო ხიდებს, ასევე არხის გასწვრივ განთავსებულ წყლის ხარჯის გაზომვისა და მართვის შესაბამის ელემენტებს.

სისტემა წყლით მარაგდება ნარეკვავის წყალსაცავიდან და წარმოადგენს თვითდინებით მოქმედ სარწყავ სისტემას, რომელიც ემსახურება მომსახურების არეალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებს.

წყალმიმღები სათავე ნაგებობა მდებარეობს X: 465411.0 და Y: 4653813.0 კოორდინატებზე. მდინარეზე მოწყობილი წყალამღები ნაგებობა და მასთან დაკავშირებული ნაპირსამაგრი კონსტრუქციები, საერთო ჯამში, სტაბილურ მდგომარეობაშია, თუმცა ბეტონის ღია ზედაპირებზე შეინიშნება ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის შედეგად გამოწვეული ცვეთისა და ეროზიის ნიშნები. წყალმიმღების მარეგულირებელ ნაგებობასთან მისასვლელი საყრდენი კედელი კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია, ხოლო წყალმიმღები ფარისა და სათავე მარეგულირებლის ბეტონის კონსტრუქციები სტრუქტურულად გამართულია. ამასთან, ლითონის ფარები დაზიანებულია და სრულფასოვნად ვეღარ ასრულებს მათ ფუნქციას.

მთავარი არხი გაყვანილია რელიეფის კონტურის გასწვრივ და სარწყავი წყლით ამარაგებს არხის მარცხენა მხარეს მდებარე მომსახურების არეალს. არხის ზედა, დაახლოებით 2.8 კმ-იანი მონაკვეთი მოპირკეთებულია წინასწარ დამზადებული ბეტონის ფილებით, ხოლო ქვედა მონაკვეთი – ადგილზე მოწყობილი მონოლითური ბეტონით. არხის ბოლო მონაკვეთებზე შემორჩენილია მოპირკეთების გარეშე დარჩენილი უბნებიც. ვინაიდან სქემაში მეორეული არხების სისტემა არ არსებობს, სარწყავი წყალი უშუალოდ მთავარი არხიდან მიეწოდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და სარწყავ ბლოკებს, არხის მარცხენა ნაპირზე განლაგებული 23 წყალგამანაწილებელი (გამშვები) ნაგებობის მეშვეობით.

სისტემის მთლიანი მომსახურების ფართობი (Gross Command Area) შეადგენს 605 ჰექტარს, ხოლო ფაქტობრივად დამუშავებული (Net Cultivated Command Area) ფართობი – 479 ჰექტარს. თავდაპირველი პროექტით სისტემა გათვლილი იყო 1.0 მ³/წმ წყლის ხარჯზე, თუმცა საველე შეფასების დროს დაფიქსირებული ფაქტობრივი ხარჯი დაახლოებით 0.5 მ³/წმ იყო. წყალსაცავიდან გამოშვებული წყლის რაოდენობა კონტროლდება დამონტაჟებული საზომი მოწყობილობის საშუალებით, ხოლო მთავარ არხზე ასევე მოწყობილია წყლის დონის საზომი რეიკა. არხში გამავალი წყლის ხარჯი იცვლება სარწყავ წყალზე მოთხოვნისა და სეზონური სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით.

3.3. სარწყავი სისტემის არსებული კომპონენტები

ნარეკვავის სარწყავი სისტემა ემსახურება 605 ჰექტარ მთლიან მომსახურების ფართობს, საიდანაც 479 ჰექტარი ფაქტობრივად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ფართობია. სისტემა წარმოადგენს თვითდინებით მოქმედ სარწყავ სისტემას, რომელიც წყლით მარაგდება ნარეკვავის წყალსაცავიდან და მოიცავს წყალმიმღებ სათავე ნაგებობას, 7.636 კმ სიგრძის მთავარ არხს, 23 წყალგამანაწილებელ (გამშვებ) ნაგებობას, აკვედუკს, სიფონს, წყალგამტარ მილებს, საფეხმავლო ხიდებს, ასევე არხის გასწვრივ განთავსებულ წყლის ხარჯის გაზომვისა და მართვის ელემენტებს. მთავარი არხი სარწყავი წყლით ამარაგებს არხის მარცხენა მხარეს მდებარე მომსახურების არეალს, ხოლო სისტემაში მეორეული არხები არ არის მოწყობილი.

სათავე ნაგებობა მდებარეობს სოფელ ქვემო შუხევის მიმდებარედ და მოიცავს წყალამღებ ნაგებობას, წყალმიმღების მარეგულირებელ კვანძს, ფარების სისტემას, საყრდენ კედლებსა და შესაბამის დამცავ ნაგებობებს. არხის ზედა, დაახლოებით 2.8 კმ-იანი მონაკვეთი მოპირკეთებულია წინასწარ დამზადებული ბეტონის ფილებით, ხოლო ქვედა მონაკვეთი – ადგილზე მოწყობილი მონოლითური ბეტონით. არხის ბოლო მონაკვეთების ნაწილი კვლავ მოპირკეთების გარეშეა დარჩენილი. სარწყავი წყალი უშუალოდ მთავარი არხიდან მიეწოდება

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და სარწყავ ბლოკებს არხის მარცხენა ნაპირზე განლაგებული 23 წყალგამანაწილებელი (გამშვები) ნაგებობის მეშვეობით.

ცხრილი 2. ნარეკვავის სარწყავი სისტემის ძირითადი მახასიათებლები

პარამეტრი	საერთო მომსახურების ფართობი	ნეტო დამუშავებული მომსახურების ფართობი	მთავარი არხის სიგრძე (კმ)	წყალგამშვები/ გამანაწილებელი ნაგებობები	საპროექტო ხარჯი	ფაქტობრივი ხარჯი (m³/s)
Value	605 ჰა	479 ჰა	7.636 კმ	23	1.0 მ³/s	დაახლ. 0.5

არსებული ნარეკვავის სარწყავი სისტემის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, რეაბილიტაციას ან შეცვლას დაქვემდებარებული ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობები შეჯამებულია ცხრილ 3-ში, ხოლო სარწყავი სისტემის ძირითადი ხაზობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმოდგენილია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 3. ნარეკვავის სარწყავი სისტემის არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეჯამება

No	Structure	Intact	Repair	Replace	Total
1	წყალამღები კვანძი (სათავე ნაგებობა)		1		1
2	მილოვანი წყალგამტარი ნაგებობები		7	4	11
3	ბოქს კალვერტი			1	1
4	საფეხმავლო ხიდი	17		14	31
5	წყალგამშვები			23	23
6	აკვედუკი			1	1
7	სიფონი			1	1
			ტექნიკური ნაგებობების ჯამი		69 Nos

ცხრილი 4. ნარეკვავის სარწყავი სისტემის ხაზოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები

#	კომპონენტი	საჭირო ინტერვენცია	სიგრძე (კმ)
1	არხის მოპირკეთება	დაზიანებული მოპირკეთების მონაკვეთების რეაბილიტაცია / შეცვლა	6.70
2	არხის ბოლო მონაკვეთი (მილსადენში მოსაწყობი)	გაუმჯობესება / მილსადენში მოქცევა	0.92

არსებული მდგომარეობის შეფასებამ აჩვენა, რომ სარწყავი სისტემის რამდენიმე ძირითადი ჰიდროტექნიკური და მისასვლელი ინფრასტრუქტურის ელემენტი მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. მიუხედავად იმისა, რომ საფეხმავლო ხიდების ნაწილი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, წყალგამანაწილებელი (გამშვები) ნაგებობების უმეტესობა, აკვედუკი, სიფონი და ყუთური წყალგამტარი (Box Culvert) სრულ ჩანაცვლებას საჭიროებს, ხოლო სათავე ნაგებობასა და რამდენიმე მილის ტიპის წყალგამტარს (Pipe Culvert) რეაბილიტაცია ესაჭიროება. ცალკეული ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენის გარდა, აუცილებელია მთავარი არხის მოპირკეთების გაუმჯობესება და არხის ბოლო მონაკვეთის რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს წყლის გამტარუნარიანობის აღდგენას, წყლის დანაკარგების შემცირებას და მთლიანად სარწყავი სისტემის ფუნქციონირების საიმედოობის გაზრდას.

4. პროექტის აღწერა

GRAIL-ის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროექტი ითვალისწინებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას. ქვეპროექტის მიზანია სარწყავი სისტემის ფუნქციონირების აღდგენა, წყლის მიწოდების ეფექტიანობის გაუმჯობესება, სისტემის ოპერაციული მართვის გაძლიერება და მომსახურების არეალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწებისათვის სარწყავი წყლის საიმედო მიწოდების უზრუნველყოფა. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ არსებული სარწყავი სისტემის ფარგლებში და მიზნად ისახავს მისი არსებული ფუნქციის აღდგენას, მომსახურების ფართობის გაფართოების გარეშე.

4.1. სარწყავი სისტემის საპროექტო გადაწყვეტა

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის დეტალური პროექტი ითვალისწინებს სარწყავი სისტემის ფუნქციონირების სრულ აღდგენას სათავე ნაგებობიდან მომსახურების არეალის ბოლო მონაკვეთამდე. წყალსაცავის წყალმიმღები ნაგებობის, მთავარი არხისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, საპროექტო სამუშაოები მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- წყალმიმღები მარეგულირებლისა და წყალმიმღები ფარის შეცვლას, სათავე ნაგებობაზე ოპერაციული მართვის აღდგენის მიზნით;
- წყლის ხარჯის მზომი ახალი ნაგებობისა და შესაბამისი საზომი მოწყობილობების მოწყობას, წყლის ხარჯის ზუსტი კონტროლისა და ოპერაციული მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად;
- მთავარი არხის რეაბილიტაციას 100 მმ სისქის არმირებული ბეტონის მოპირკეთების მოწყობის გზით, მათ შორის არხიდან ნატანისა და მცენარეული საფარის გაწმენდას;
- დაზიანებული აკვედუკის ჩანაცვლებას ახალი ნაგებობით, მასთან დაკავშირებული ზედა დინების ყუთური წყალგამტარის (Box Culvert) მოწყობით;
- დაზიანებული სიფონის სრულ ჩანაცვლებას ახალი კონსტრუქციით, რომელიც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან და საიმედო ექსპლუატაციას;
- არხის ბოლო მონაკვეთებზე მოპირკეთების გარეშე დარჩენილი უბნების გაუმჯობესებას, წყლის დანაკარგების შემცირებისა და არხის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით;
- არხის მარცხენა ნაპირზე არსებული 23 დაზიანებული წყალგამანაწილებელი (გამშვები) ნაგებობის რეკონსტრუქციას ან შეცვლას;
- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის და შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას წყლის რესურსების უფრო ეფექტიანი მართვის მიზნით;
- ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების განახლებული სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადებას, საქართველოს მელიორაციისა და წყალმომხმარებლების მიერ სარწყავი სისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

4.2. სათავე ნაგებობისა და წყალმიმღები კვანძის საპროექტო გადაწყვეტა

ნარეკვავის წყალსაცავი, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 889 მ სიმაღლეზე მდებარეობს, სარწყავი სისტემის წყალმომარაგების ძირითად წყაროს წარმოადგენს. სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მიზნად ისახავს წყალმიმღები კვანძის კონსტრუქციული მდგრადობის, ოპერაციული მართვისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის აღდგენას, სარწყავი სისტემის არსებული ჰიდრავლიკური რეჟიმის ცვლილების გარეშე.

წყალმიმღების სათავე მარეგულირებელი ფარი, რომლის ზომებია დაახლოებით 1.23 × 1.0 მ, ამჟამად მწყობრიდან არის გამოსული და მისი შეცვლა აუცილებელია წყალმიმღების საიმედო მართვის აღსადგენად. რეაბილიტაციას საჭიროებს ასევე ქვედა გამრეცხი (Under-sluice) ნაგებობა, მათ შორის არსებული 2.0 × 2.2 მ ზომის ფარი, რომლის კონსტრუქციული მდგომარეობა და ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა გაუარესებული. რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია დაზიანებული ფარების ელემენტების შეცვლა, დაზიანებული ბეტონის კონსტრუქციების შეკეთება და წყალმიმღების რეგულირებისა და ნატანის მართვისათვის აუცილებელი სხვა კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა.

მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე დაგეგმილია სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფისა და ძირის გარეცხვის საწინააღმდეგო დამცავი ელემენტების რეაბილიტაციის მიზნით. აღნიშნული სამუშაოები მოიცავს დაზიანებული აუზის ფსკერის აღდგენას,

ჩამოშლილი ან დაზიანებული წყალშეუღწევადი ელემენტების რეკონსტრუქციას, აგრეთვე გარეცხვისა და ეროზიის შედეგად დაზიანებული უბნების, განსაკუთრებით მარცხენა ნაპირზე, სტაბილიზაციას. აღნიშნული ღონისძიებები აუცილებელია სათავე ნაგებობის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად და მისი გრძელვადიანი ჰიდრავლიკური მდგრადობის აღსადგენად.

ფოტო 1. ნარეკვავის სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში არსებული ძირის გარეცხვისა და კონსტრუქციული დაზიანებების მდგომარეობა

4.3. ლიცენზირებული სამშენებლო მასალების უახლოესი წყაროები

ლიცენზირებული ბუნებრივი სამშენებლო მასალების – ქვიშის, ხრეშისა და წყლის – უახლოესი წყაროები მდებარეობს მდინარეების არაგვისა და ქსნის კალაპოტებში. აღნიშნული საბადოებიდან საპროექტო ტერიტორიამდე მასალების ტრანსპორტირების სავარაუდო მანძილი დაახლოებით 7-დან 15 კილომეტრამდე მერყეობს.

ცხრილი 5. ინფორმაცია ბუნებრივი სამშენებლო მასალების ლიცენზირებული კარიერების შესახებ

#	ლიცენზიის ნომერი	დასახელება	მფლობელი	ლიცენზიის მიღების თარიღი/მოქმედების ვადა	ფართობი (მ²)
1	00040	ქვიშა-ხრეშის კარიერი მდინარე არაგვის კალაპოტში, სოფელი ჭართალი	Daviti LLC	6.02.07-დან 06.02.27-მდე	70,100
2	1002202	ქვიშა-ხრეშის კარიერი არაგვის კალაპოტში, ანანურთან	Gravi LLC	07.08.06-დან 07.09.26-მდე	60,540
3	10002384	ქვიშა-ხრეშის კარიერი მდინარე ქსნის კალაპოტში, სოფ. მუხრანთან	Bena LLC	27.09.21-დან 28.09.26-მდე	22,310
4	N490	ქვიშა-ხრეშის კარიერი მდინარე ქსნის კალაპოტში, სოფ. მუხრანთან	BG Brothers LLC	08.05.27-დან 15.07.27-მდე	10,010

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო ბეტონის მიწოდება შესაძლებელია ნარეკვავის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის სოფელ მუხრანში მდებარე ბეტონის საწარმოებიდან. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ასევე ხელმისაწვდომია ქვიშისა და ხრეშის ლიცენზირებული საბადოები.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში კონტრაქტორს შესაძლებლობა ექნება გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე ბეტონის საწარმო, სამშენებლო პროცესის საჭიროებების შესაბამისად.

სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკური წყალი მოწოდებული იქნება ნარეკვავის მდინარიდან და/ან ჭაბურღილებიდან. სასმელი და ტექნიკური წყლით სამშენებლო ბანაკების (ასეთის მოწყობის შემთხვევაში) მომარაგება შესაძლებელია ასევე სპეციალური ავტოცისტერნების საშუალებით, ქვემოთ მითითებული ჭაბურღილებიდან ან მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელიდან (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6. ინფორმაცია მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის შესახებ

#	ლიცენზიის ნომერი	დასახელება	მფლობელი	ლიცენზიის მიღების თარიღი/მოქმედების ვადა	ფართობი (მ²)
1	1005062	მიწისქვეშა წყლის საბადო სოფ. მუხრანთან	Sinensis LLC	22.11.2017-დან 02.06.2026-მდე	0.07
2	10000057	მიწისქვეშა წყლის საბადო სოფ. ნატახტართან	Kale 2007 LLC	12.07.2018-დან 13.07.2043-მდე	0.07

5. საჯარო კონსულტაციები

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრინციპის დაცვით და მოიცავდა საპროექტო ჯგუფის აქტიურ თანამშრომლობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის პროექტი გამოქვეყნebulis საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა გსმგ პროექტის განხილვის მიზნით. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ყველა დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო არხების საშუალებით, ხოლო შეხვედრის ადგილი შეირჩა ისე, რომ იგი ყოფილიყო ადვილად მისადგომი და მოსახერხებელი ქვეპროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის.

საკონსულტაციო შეხვედრას უმასპინძლეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები, ხოლო შეხვედრას გაუძღვნენ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის წარმომადგენლები. შეხვედრების ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების მოცულობისა და ხასიათის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების, აგრეთვე მშენებლობის პერიოდში მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ქონდათ წარმოედგინათ შეკითხვები, მოსაზრებები და რეკომენდაციები.

საკონსულტაციო შეხვედრის შემდეგ მომზადდა შეხვედრის ოქმი, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი პრეზენტაციების მოკლე აღწერას, შეხვედრის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს, დასმულ შეკითხვებსა და მათზე გაცემულ პასუხებს, ფოტოდოკუმენტაციას და მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცლების დასკანერებულ ასლებს. გსმგ საბოლოოდ განახლდა საჯარო კონსულტაციების შედეგად მიღებული კომენტარებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, და შეხვედრების ოქმი თანდართულია გსმგ დოკუმენტზე (დანართი 5).

პროექტის ფარგლებში შეგროვებული, დამუშავებული, შენახული ან გამჟღავნებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემი დამუშავდება მსოფლიო ბანკის მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა პერსონალური მონაცემების დაცვის, კონფიდენციალურობისა და საჩივრების მართვის მოთხოვნების, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, რომელიც არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობას.

6. საჩივრების განხილვის მექანიზმი

GRAIL-ის პროექტის ფარგლებში შექმნილია და ფუნქციონირებს საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლის მიზანია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი საჩივრებისა და საკითხების ეფექტიანი, დროული, გამჭვირვალე და ეკონომიკურად ეფექტური განხილვა. აღნიშნული მექანიზმი მოიცავს როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე პროექტის ფარგლებში ჩართული კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების საქმიანობასთან დაკავშირებულ საჩივრებს.

ნარეკვავის სარწყავი სისტემის ქვეპროექტისთვის პროექტის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმი შეიქმნა პროექტირების ეტაპზე და იგი ფუნქციონირებას გააგრძელებს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისა და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. დაინტერესებულ მხარეებთან გამართული პირველადი შეხვედრებისა და საზოგადოებრივი კონსულტაციების დროს ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია პროექტირებისა და განხორციელების ეტაპებზე საჩივრების, შეკითხვებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის ხელმისაწვდომი არხების შესახებ. ამასთან, დაინტერესებულ მხარეებს გაეცათ ინფორმაცია საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების შესახებ (იხ. სურათი 3).

საჩივრების სამართლიანი, გამჭვირვალე, სანდო და სათანადოდ დოკუმენტირებული განხილვის უზრუნველსაყოფად, GRM-ის საკონტაქტო პირები დანიშნულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა დონეზე - კონტრაქტორიდან პროექტის განმახორციელებელ ერთეულამდე. საჩივრების წარმოდგენის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის მუნიციპალურ ადმინისტრაციულ შენობებსა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ მომსახურების ოფისებში განთავსებულია საჩივრების ყუთები. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცა საინფორმაციო ბროშურები მათთვის ხელმისაწვდომ ენაზე, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას საჩივრების წარდგენის პროცედურებისა და GRM-ის საკონტაქტო პირების შესახებ. შესაბამისი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ოფიციალურ ვებგვერდზე.

პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორის სოციალური სპეციალისტი და საინჟინრო ზედამხედველი, პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან კოორდინაციით, რეგულარულად ითანამშრომლებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის გაძლიერებისა და პროექტის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. მუდმივი დიალოგი უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი საკითხების დროულ გამოვლენასა და ეფექტიან გადაწყვეტას.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული, საინჟინრო ზედამხედველთან კოორდინაციით, გააგრძელებს მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციას. პროექტის მიმდინარეობის

განმავლობაში პერიოდულად გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება როგორც პროექტის, ისე მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ.

წინამდებარე გსმგ-ს მომზადების მომენტისთვის პროექტის განმახორციელებელ ერთეულში ან პროექტის განხორციელებაში ჩართულ სხვა მხარეებთან წერილობითი საჩივარი წარმოდგენილი არ ყოფილა.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი განკუთვნილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის, ადგილობრივი თემებისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის. იგი მოიცავს პროექტის ზემოქმედებასთან, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასთან, მისაწვდომობის შეზღუდვებთან, გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან, აგრეთვე თემის დონეზე წარმოშობილ სხვა საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმისგან განსხვავებით, მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი განკუთვნილია უშუალოდ პროექტში დასაქმებული, კონტრაქტით დასაქმებული და სხვა პროექტის პერსონალისთვის. იგი წარმოადგენს კონფიდენციალურ და ხელმისაწვდომ მექანიზმს სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, მათ შორის შრომითი პირობების, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, დისკრიმინაციის, შევიწროების, შრომის ანაზღაურების, სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და დასაქმებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებისათვის. შესაბამისად, მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი განხილულია ESS2-ის („შრომა და სამუშაო პირობები“) ფარგლებში, ხოლო პროექტის GRM – ESS10-ის („დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება“) მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული გამიჯვნა უზრუნველყოფს, რომ თითოეული მექანიზმი მორგებული იყოს შესაბამისი მომხმარებლების საჭიროებებზე, კონფიდენციალურობის მოთხოვნებსა და დაცვის ზომებზე.

მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი ხელმისაწვდომი იქნება როგორც უშუალოდ პროექტში დასაქმებული, ისე კონტრაქტით დასაქმებული მუშაკებისთვის, რომლებიც ნარეკვავის სარწყავი სისტემის ქვეპროექტში მონაწილეობენ. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ოფიციალურ არხს სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხებისა და საჩივრების წარსადგენად, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სამუშაო პირობების, შრომითი უფლებების დარღვევისა და სექსუალურ ექსპლუატაციასთან, სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული შემთხვევების შესახებ.

კონტრაქტორის სოციალური სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარებაზე ყველა უშუალოდ და კონტრაქტით დასაქმებული მუშაკისთვის, დასაქმებისა და საწყისი ინსტრუქტაჟის პროცესში. მექანიზმის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჩივრების ყუთები და საინფორმაციო მასალები განთავსდება მუშაკთა ბანაკებში, სამშენებლო ოფისებსა და სხვა ადგილებში, სადაც მუშაკები რეგულარულად იმყოფებიან. საინფორმაციო ბროშურები დეტალურად განმარტავს საჩივრის წარდგენის პროცედურას, განხილვის ვადებს, კონფიდენციალურობის პრინციპებსა და შესაბამისი საკონტაქტო პირების მონაცემებს.

უშუალოდ პროექტში დასაქმებული მუშაკებისათვის მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმის ადმინისტრირებას განახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ადამიანური რესურსების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მიღებაზე, რეგისტრაციაზე, განხილვასა და გადაწყვეტაზე, შრომითი რესურსების მართვის პროცედურების შესაბამისად.

კონტრაქტით დასაქმებული მუშაკებისათვის საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ შესაბამის დამსაქმებლებს. სამშენებლო კონტრაქტორები უზრუნველყოფენ, რომ ყველა მუშაკს ჰქონდეს თავისუფალი წვდომა აღნიშნულ მექანიზმზე და ინფორმირებული იყოს საჩივრის წარმოდგენის უფლების შესახებ ყოველგვარი ზეწოლის ან შურისძიების შიშის გარეშე. საინჟინრო ზედამხედველი გააკონტროლებს კონტრაქტორების მიერ დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას, მათ შორის საჩივრების რეგისტრაციას, გამოძიებასა და გადაწყვეტას, ხოლო მიღებულ შედეგებს ასახავს პროექტის განმახორციელებელ ერთეულში წარდგენილ ყოველთვიურ ანგარიშებში.

მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმის საერთო ზედამხედველობას განახორციელებს საინჟინრო ზედამხედველის გუნდის მიერ დანიშნული საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მექანიზმის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგზე პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ საინჟინრო ზედამხედველი არ იქნება მობილიზებული, აღნიშნულ ფუნქციას შეასრულებს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტი.

კერძოდ, საჩივრების განხილვის მექანიზმი:

- უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შესაძლებლობით, წარადგინონ საჩივარი ან მოაგვარონ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების პროცესში;
- უზრუნველყოფს საჩივრების ეფექტიან, სამართლიან და მხარეთათვის მისაღებ გადაწყვეტას;
- ხელს უწყობს საჩივრების განხილვის პროცესის ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას;
- უზრუნველყოფს საჩივრების დროულ განხილვას და, შეძლებისდაგვარად, თავიდან არიდებს საკითხების სასამართლო წესით განხილვის აუცილებლობას.

ქვეპროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ტიპური საჩივრები შეიძლება უკავშირდებოდეს:

- მიწის შესყიდვას, მიწათსარგებლობის შეზღუდვასა და ფიზიკურ გადაადგილებას (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში პროექტის განხორციელების პროცესში);
- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზიანს;
- გარემოსდაცვით ზემოქმედებებს;
- პირდაპირ ან არაპირდაპირ სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებებს.

სურათი 3. საჩივრების განხილვის პროცესი (Grievance Redress Process)

1

- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის განსახლების საკითხებზე პასუხისმგებელი გუნდი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საჩივრების რეგისტრაციისა და აღრიცხვის სისტემის ფუნქციონირებას. პროექტის განმახორციელებელი ერთეულის სოციალური დაცვის სპეციალისტი (SSC) აწარმოებს საჩივრების რეესტრს და უზრუნველყოფს მის რეგულარულ განახლებას.

2

- პირველ ეტაპზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შეუძლიათ წარადგინონ საჩივარი, რომლის განხილვა და გადაწყვეტა, პირველ რიგში, მოხდება არაფორმალურ დონეზე, პროექტის შესაბამისი სპეციალისტების (მაგალითად, პროექტირების, საკადასტრო და ქონების შეფასების საკითხებზე პასუხისმგებელი პირების) ან ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართულობით. საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში გატარდება ყველა შესაძლო ღონისძიება მისი გადაწყვეტის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი განხილული იქნება არაფორმალურ დონეზე, იგი სავალდებულოდ დარეგისტრირდება საჩივრების რეესტრში.

3

- თუ საჩივარი აღნიშნულ ეტაპზე ვერ გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს (PAP) უფლება აქვს საჩივარი წარუდგინოს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს, რომელიც ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს მისი მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

4

- თუ აღნიშნულ ეტაპზეც ვერ მოხერხდება საჩივრის გადაწყვეტა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის (PAP) საჩივარი 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში გადაეცემა საჩივრების განხილვის კომიტეტს (Grievance Resolution Committee – GRC) (კომიტეტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ), რომელიც ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს მისი მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

5

- საჩივრის განხილვის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს (PAP) უფლება აქვს მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საჩივრების მართვასა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირები დანიშნულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა დონეზე. აღნიშნული პირები ასრულებენ საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირების ფუნქციას.

საპროექტო ორგანიზაცია - ნინო პაატაშვილი – მთავარი სოციალური ექსპერტი.

აქტივობა	**ნარეკვავის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია**
ორგანიზაცია	Yooshin Dasan Consultants
მისამართი	აკაკი ბელიაშვილის 145, 0159, თბილისი
E-mail	ninopaatashvili@yahoo.com
ტელეფონი	+995 577 74 24 31

საპროექტო ორგანიზაცია - ეკატერინე ბუბაშვილი - ადგილობრივი გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხთა სპეციალისტი.

აქტივობა	**Rehabilitation and Modernization of the Narekvavi Irrigation Scheme**
ორგანიზაცია	Geo-Consulting

აქტივობა	**Rehabilitation and Modernization of the Narekvavi Irrigation Scheme**
მისამართი	აკაკი ბელიაშვილის 145, 0159 Tbilisi
E-mail	bubashviliekaterina@yahoo.com
ტელეფონი	+995 598 18 44 78

პროექტის განმახორციელებელი ერთეული - სოფიო ბერიშვილი - სოციალური სპეციალისტი

აქტივობა	**Rehabilitation and Modernization of the Narekvavi Irrigation Scheme**
ორგანიზაცია	პროექტის განმახორციელებელი ერთეული, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მისამართი	მარშალ გელოვანის გამზირი 32G, 0159 თბილისი
E-mail:	Sophiko1@hotmail.com
ტელეფონი	+995599270049

საჩივრების განხილვის მექანიზმი უზრუნველყოფს ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელების პროცესში პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ან მის მიერ დაქირავებული კონტრაქტორების საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტიან, დროულ და ეკონომიკურად გამართულ განხილვასა და გადაწყვეტას. აღნიშნული მექანიზმი განკუთვნილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის, ადგილობრივი თემებისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეებისათვის. საჩივრების განხილვის მექანიზმის დეტალური პროცედურა წარმოდგენილია წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის დანართ E-ში.

7. მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები და რისკების შერბილების მიდგომა

7.1. დადებითი ზემოქმედებები

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დადებითი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღება. ქვეპროექტი უზრუნველყოფს სარწყავი წყლის მიწოდების საიმედოობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას, არსებული დაზიანებული არხის ინფრასტრუქტურით გამოწვეული წყლის დანაკარგების შემცირებას და მომსახურების არეალში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდას. სარწყავი მომსახურების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას, სოფლის მეურნეობის მდგრადობის გაძლიერებას კლიმატის ცვალებადობის პირობებში და ადგილობრივი ფერმერების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. არსებული

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ახალი სარწყავი სისტემის მშენებლობის ნაცვლად, მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და, ამავდროულად, ზრდის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ვადასა და ფუნქციურ საიმედოობას.

7.2. უარყოფითი ზემოქმედებები – მოსამზადებელი ეტაპი

მოსამზადებელ ეტაპზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. შესაძლო ზემოქმედებები შემოიფარგლება სამშენებლო სამუშაოებისათვის ტერიტორიის მომზადებით, პერსონალისა და ტექნიკის მობილიზაციით, სამშენებლო ლოგისტიკის ორგანიზებითა და, საჭიროების შემთხვევაში, მიწის მომხმარებლებთან კომუნიკაციით. მიწის ნაკვეთებზე წვდომის დროებით შეზღუდვასთან, კერძო საკუთრების დაზიანებასთან ან მიწასთან დაკავშირებულ სხვა გაუთვალისწინებელ ზემოქმედებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაძლო რისკი თავიდან იქნება აცილებული სამშენებლო სამუშაოების სათანადო დაგეგმვისა და დამტკიცებული საპროექტო საზღვრების მკაცრი დაცვის გზით.

7.3. უარყოფითი ზემოქმედებები – მშენებლობის ეტაპი

გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით ძირითადი უარყოფითი ზემოქმედებები მოსალოდნელია მშენებლობის ეტაპზე. აღნიშნული ზემოქმედებები იქნება დროებითი, ლოკალური და შექცევადი. შესაძლო ზემოქმედებები მოიცავს მტვრისა და ხმაურის წარმოქმნას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დროებით გაუარესებას, სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნას, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების რისკს საწვავის, საპოხი მასალების ან სხვა სამშენებლო მასალების დაღვრის შედეგად, შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს, საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს სამშენებლო ტექნიკისა და სამუშაოების განხორციელების პროცესში, გადაადგილებისა და მისასვლელების დროებით შეზღუდვას, ასევე მიმდებარე მიწათმოსარგებლეებზე დროებით ზემოქმედებას. ვინაიდან სამუშაოები განხორციელდება არსებული სარწყავი სისტემის დერეფანში და უმეტესწილად ხელით შესრულებული სამუშაოების გამოყენებით, აღნიშნული ზემოქმედებების მასშტაბი შეფასებულია როგორც დაბალი ან საშუალო და მათი ეფექტიანი მართვა შესაძლებელი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით (ESMP) განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების გზით.

7.4. უარყოფითი ზემოქმედებები – ექსპლუატაციის ეტაპი

ექსპლუატაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რეაბილიტირებული სარწყავი ინფრასტრუქტურა გააგრძელებს ფუნქციონირებას არსებული ტრასისა და განთვისების ზოლის ფარგლებში, მისი ფუნქციური დანიშნულების ცვლილების გარეშე. უმნიშვნელო ზემოქმედებები შესაძლოა დაკავშირებული იყოს მიმდინარე ტექნიკური მომსახურების სამუშაოებთან, ტექნიკური მომსახურების პროცესში წარმოქმნილ ნარჩენებთან და მომსახურე პერსონალის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკებთან. აღნიშნული ზემოქმედებები იქნება იშვიათი, ლოკალური და ადვილად მართვადი სტანდარტული ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების პროცედურების დაცვით.

ამასთანავე, სარწყავი მომსახურების გაუმჯობესებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მომსახურების არეალში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაციას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ფერმერების მიერ სასუქების, პესტიციდებისა და სხვა აგროქიმიკატების

გამოყენების ზრდაში. აღნიშნული ნივთიერებების არასათანადო გამოყენებამ ან ჭარბმა დოზირებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნიადაგის ხარისხსა და ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე. ამ რისკების მართვა უზრუნველყოფილი იქნება კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობითა და აგროქიმიკატების გამოყენებისა და შენახვის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მთლიანობაში, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედებები იქნება ლოკალური, მართვადი და ძირითადად დადებითი ხასიათის.

7.5. ზემოქმედების შერბილების იერარქია

ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო გადაწყვეტა ეფუძნება ზემოქმედების შერბილების იერარქიის (Mitigation Hierarchy) პრინციპს, რომლის თანახმად, პირველ რიგში, გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების თავიდან აცილება იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. ამ მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოები შემოიფარგლება არსებული არხის ტრასით, განთვისების ზოლითა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით, რაც გამორიცხავს კერძო მიწის შესყიდვის, არანებაყოფლობითი განსახლებისა და ბუნებრივ ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების საჭიროებას. შერჩეული სამშენებლო მეთოდოლოგია, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს ხელით შესრულებული სამუშაოების გამოყენებასა და არხის მარცხენა ნაპირიდან მუშაობას, დამატებით ამცირებს მიმდებარე კერძო საკუთრებასა და არსებულ ინფრასტრუქტურაზე შესაძლო ზემოქმედებას.

იმ ზემოქმედებების შემთხვევაში, რომელთა სრულად თავიდან აცილება შეუძლებელია, მათი მინიმიზაცია და მართვა განხორციელდება გსმგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს მტვრისა და ხმაურის კონტროლს, გარემოს დაბინძურების პრევენციას, ნარჩენების სათანადო მართვას, წყლის რესურსების დაცვას, მოძრაობისა და მისასვლელების მართვას, შრომისა და საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების მთელი პერიოდის განმავლობაში გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის განხორციელებას.

შემარბილებელი ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების შემდეგ, ნარჩენი ზემოქმედებები შეფასებულია, როგორც უმნიშვნელო, დროებითი, ლოკალური და სრულად შექცევადი. მნიშვნელოვანი ნარჩენი გარემოსდაცვითი ან სოციალური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ქვეპროექტის საერთო გარემოსდაცვითი კვალი შეზღუდული მასშტაბის იქნება.

8. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
წინასამშენებლო ეტაპი			
კონტრაქტორის მობილიზაცია	ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხები/საჩივრები	• სამუშაოების დაწყებამდე ადგილობრივი მოსახლეობისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ბეჭდური საინფორმაციო მასალებისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, ასევე პროექტის ზემოქმედების არეალში მდებარე სოფლების საზოგადოებრივ ადგილებში შესაბამისი განცხადებების განთავსება. • სარწყავ სისტემაზე სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა ისე, რომ მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციისა და მოსავლის აღების პერიოდში სამუშაოებისგან გამოწვეული შეფერხებები. იმ შემთხვევაში, თუ წყალმომარაგების ან მისაწვდომობის დროებითი შეზღუდვა გარდაუვალია, ფერმერებს წინასწარ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული შეზღუდვების დაწყების დროისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. • დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება, რათა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ შეკითხვებს, მოსაზრებებსა და საჩივრებს დროული, ზუსტი და სათანადო რეაგირება გაეწიოს. • პროექტის ზემოქმედების არეალში, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში, საჩივრების ყუთების განთავსება.	კონტრაქტორი/ზედა მხედველი/დამკვეთი
მუშახელის შერჩევა და მომზადება	• კონტრაქტორსა და პერსონალს შორის შრომის პირობებსა და დასაქმების პირობებთან დაკავშირებული დავები. • ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასაქმების	• შესაძლებლობის ფარგლებში, არაკვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშახელის დასაქმება ადგილობრივი თემებიდან და, საჭიროებისამებრ, მათი პროფესიული უნარების განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. • ყველა დასაქმებულთან წერილობითი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. სამუშაო ურთიერთობების წარმართვა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის, ESS2-ის („შრომა და სამუშაო პირობები“), ESS4-ის („საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“) და GRAIL-ის პროექტის შრომითი რესურსების მართვის პროცედურების მოთხოვნების შესაბამისად.	კონტრაქტორი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
	შესაძლებლობების შეზღუდვა ან დაკარგვა. • მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არასაკმარისი მოსამზადებელი ღონისძიებები.	• შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმის მომზადება საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონის „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, ასევე მსოფლიო ბანკისა და IFC-ის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების მოთხოვნების შესაბამისად და მისი პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან შეთანხმება. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასებისა და შესაბამისი პრევენციული და მაკონტროლებელი ღონისძიებების განსაზღვრის პროცედურები ESS2-ისა და ESS4-ის მოთხოვნების შესაბამისად. • მუშაკებისთვის ტრენინგების ჩატარება, ინციდენტებისა და ავარიული შემთხვევების რეგისტრაციისა და ანგარიშგების სისტემის დანერგვა, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და განხორციელებული მაკორექტირებელი ღონისძიებების დოკუმენტირება. • შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების გაცნობა ყველა მუშაკისთვის შესაბამისი ტრენინგებისა და ყოველდღიური ინსტრუქტაჟების ჩატარების გზით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების სათანადო დაცვა. • ყველა მუშაკის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფა, მათი გამოყენების სავალდებულო ხასიათის განმარტება და სამშენებლო მოედანზე მათი მუდმივი გამოყენების კონტროლი. • იძულებითი და ბავშვთა შრომის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის ESS2-ის მოთხოვნების შესაბამისად.	
სამუშაო მოედნის, სამშენებლო ბანაკისა და/ან	• გარემოსადა სოციალური თვალსაზრისით მგრძნობიარე ობიექტებისა და	• პროექტის ფარგლებში მუშაკთა ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. მუშაკებისთვის მოეწყობა მხოლოდ მცირე დროებითი შეკრებისა და დასვენების სივრცე, სადაც განთავსდება დროებითი სასაწყობე/საოფისე კონტეინერი მოკლევადიანი გამოყენებისთვის. კონტეინერი განთავსდება უკვე დარღვეულ ან პროექტისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ისე, რომ თავიდან იქნეს	კონტრაქტორი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
საველე ოფისის მოწყობა	ტერიტორიების დაზიანება.	აცილებული მიწის დამატებითი ათვისება, მცენარეული საფარის გაჩეხვა, ნიადაგის დაზიანება ან სხვა გარემოსდაცვითი ზემოქმედება. • აღნიშნული ტერიტორია შეირჩევა და მოეწყობა ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის დაზიანება, ზედაპირული ჩამონადენის ბუნებრივი მიმართულებების შეცვლა და მიმდებარე გარემოსდაცვითად მგრძნობიარე ობიექტებზე უარყოფითი ზემოქმედება. სამშენებლო მოედანზე არ მოეწყობა მუშაკთა საცხოვრებელი ბანაკი, საკვების მომზადების ობიექტები ან ბანაკისთვის დამახასიათებელი სხვა ინფრასტრუქტურა.	
სამშენებლო ეტაპი			
მიწის სამუშაოები (გრუნტის ამოღება)	• ნაყოფიერი ნიადაგის ხარისხის გაუარესება ან მისი დაკარგვა. • არასათანადოდ დასაწყობებული გრუნტით გამოწვეული უსაფრთხოების რისკები. • ჭარბი გრუნტისა და მასალების არასათანადო განთავსებით გამოწვეული გარემოს დაბინძურება. • ადამიანებისა და ცხოველების ღია თხრილებში ჩავარდნის რისკი.	• ერთმანეთში არ უნდა აირიოს ნიადაგის ნაყოფიერი და ქვედა გრუნტის ფენა. • სამშენებლო მოედანზე წინასწარ უნდა განისაზღვროს ნაყოფიერი ნიადაგისა და ქვედა გრუნტის დროებითი დასაწყობების სპეციალური ადგილები ისე, რომ გრუნტის გროვები არ აფერხებდეს გადაადგილებას, იყოს სტაბილური და ეროზიის შედეგად არ იწვევდეს ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას. • ქვედა გრუნტის დროებითი დასაწყობების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 6 მეტრს. • ნიადაგის ნაყოფიერი დროებითი დასაწყობების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 2 მეტრს. ნიადაგის გროვები უნდა იყოს სათანადოდ სტაბილიზებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ეროზია და ჩამორეცხვა. • ღია თხრილები უნდა იყოს სათანადოდ შემოღობილი ან გადახურული, ადამიანებისა და ცხოველების შიგნით ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. გათხრილი თხრილების შევსება (უკუჩაყრა) უნდა განხორციელდეს სამუშაოების დასრულებისთანავე, როგორც კი ეს ტექნიკურად შესაძლებელი იქნება. • მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს ტერიტორიის რეკულტივაცია და პირვანდელ მდგომარეობასთან მაქსიმალურად	კონტრაქტორი ზედამხედველი ადგილობრივი თვითმმართველობა

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
	• ლანდშაფტის ვიზუალური (ესთეტიკური) მდგომარეობის გაუარესება.	მიახლოებული აღდგენა. ნაყოფიერი ნიადაგის გამოყენება სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.	
შემთხვევითი აღმოჩენების (Chance Finds) მართვა	ისტორიული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის არტეფაქტების დაკარგვა ან დაზიანება.	• შემთხვევითი აღმოჩენის დაფიქსირების შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ყველა სამშენებლო სამუშაო შესაბამის ტერიტორიაზე და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საინჟინრო ზედამხედველსა და პროექტის განმახორციელებელ ერთეულს. • კონტრაქტორმა და/ან პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა ოფიციალურად უნდა აცნობოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ და მოითხოვოს წერილობითი მითითებები შემდგომი მოქმედებებისა და პროცედურების თაობაზე. • საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გასცეს შესაბამისი წერილობითი დასკვნა ან რეკომენდაციები კონტრაქტორისა და/ან პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიმართ და, საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა აუცილებელი სამართლებრივი და ტექნიკური ღონისძიების განხორციელება. • სააგენტოს მიერ ადგილზე აუცილებელი ღონისძიებების დასრულების შემდეგ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ კონტრაქტორსა და პროექტის განმახორციელებელ ერთეულს წერილობით უნდა აცნობოს სამუშაოების განახლების ნებართვის შესახებ.	პროექტის განმახორციელებელი ერთეული კონტრაქტორი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
არხების გასწვრივ მცენარეული საფარის გაწმენდა	მცენარეულ საფარზე გადაჭარბებული ზემოქმედება.	• საჭიროების შემთხვევაში, კონტრაქტორმა შესაბამისი ტერიტორიის მართვაზე უფლებამოსილი ორგანოსგან უნდა მოიპოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ნებართვა.	კონტრაქტორი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
ზოგადი სამშენებლო სამუშაოები	• ცხოველთა და ფრინველთა სახეობებზე ზემოქმედება.	• თავიდან უნდა იქნეს აცილებული ხე-მცენარეების არასაჭირო მოჭრა და მცენარეულ საფარზე ნებისმიერი ზედმეტი ზემოქმედება.	კონტრაქტორი
ზოგადი სამშენებლო სამუშაოები	• წყლის ბიოლოგიურ რესურსებსა და წყლის სახეობებზე ზემოქმედება.	• უზრუნველყოს დანალექების (სედიმენტის) ზედაპირული წყლის ობიექტებში მოხვედრის პრევენცია. • სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში განხორციელდეს წყლის ხარისხის რეგულარული მონიტორინგი. • მომზადდეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ნავთობპროდუქტებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების შემთხვევითი დაღვრის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებებს.	კონტრაქტორი
ზოგადი სამშენებლო სამუშაოები	• ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. • ნიადაგის ეროზიით გამოწვეული დანალექების (სედიმენტაცია) წარმოქმნა.	• სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას დაუშვებელია გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვება. მუშაკების სანიტარიული საჭიროებებისათვის სამშენებლო მოედანზე უნდა განთავსდეს ბიოტუალეტები. • უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მყარი ნარჩენები არ მოხვდეს არხებში ან მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. სამშენებლო მოედანზე რეგულარულად უნდა ჩატარდეს დასუფთავების სამუშაოები, ხოლო წარმოქმნილი ნარჩენები დროულად უნდა შეგროვდეს და გატანილ იქნეს შესაბამისი წესით. • რეგულარულად უნდა განხორციელდეს ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობა.	კონტრაქტორი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		• სამშენებლო მოედანზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის რეცხვა დაუშვებელია. • სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება და საწვავით გამართვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ან შესაბამის სახელოსნოებში. გენერატორები უნდა განთავსდეს წვეთშემკავებელ ლანგრებზე (Drip Trays), რათა თავიდან იქნეს აცილებული ნავთობპროდუქტების ან საპოხი მასალების დაღვრა. • საწვავი და სხვა სახიფათო ნივთიერებები უნდა ინახებოდეს წყლის ობიექტებიდან უსაფრთხო მანძილზე, მეორადი შემაკავებელი სისტემების (მაგალითად, წვეთშემკავებელი ლანგრები, შემოზღუდული ავარიული შემაკავებელი მოედნები – Bunded Areas) გამოყენებით, რომელთა მოცულობა შეადგენს შესანახი რეზერვუარის მოცულობის არანაკლებ 110%-ს. • უნდა შემუშავდეს ნავთობპროდუქტებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების შემთხვევით დაღვრაზე რეაგირების პროცედურა, მომზადდეს შესაბამისი რეაგირების ჯგუფი და ჩაუტარდეს მას პრაქტიკული სწავლება. სამშენებლო მოედანზე მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრაზე რეაგირების კომპლექტები (Spill Response Kits), რომლებიც, მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შთამნთქმელ მასალებს (Absorbent Pads), ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს (PPE), ნარჩენების შესაგროვებელ ტომრებს, ნიჩბებს, ცოცხებს, გამაფრთხილებელ ლენტებს, მტვრის შემგროვებლებს (Dustpans) და დამაბინძურებელი ნივთიერებების გამანეიტრალებელ საშუალებებს.	
სამშენებლო ტექნიკისა და მექანიზმების ექსპლუატაცია	• ატმოსფერული ემისიების წარმოქმნა. • მტვრის წარმოქმნა. • ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნა. • ნავთობპროდუქტებისა და საპოხი მასალების	• სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით გამოწვეული მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად, საჭიროებისამებრ, განხორციელდეს მისასვლელი გზებისა და სამუშაო მოედნების მორწყვა. • ყველა სამშენებლო სატრანსპორტო საშუალება და მექანიზმი უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაჭარბებული ხმაურისა და ატმოსფერული ემისიების წარმოქმნა. • გამოუყენებელი ტექნიკისა და მექანიზმების ძრავები უნდა გამოირთოს ან იმუშაოს მინიმალური დატვირთვით. სატრანსპორტო საშუალებების	კონტრაქტორი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
	ექსპლუატაციის ან მათი შემთხვევითი დაღვრის შედეგად გარემოს დაბინძურება.	გადაადგილება უნდა განხორციელდეს დაბალი სიჩქარით, ატმოსფერული ემისიების შემცირების მიზნით. • დასახლებულ ტერიტორიებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე უნდა შეიზღუდოს 30–40 კმ/სთ-მდე. სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირებისას სატვირთო ავტომობილების ძარა უნდა იყოს სათანადოდ გადახურული, მტვრის გავრცელებისა და მასალის გაფანტვის თავიდან ასაცილებლად. • ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება უნდა განხორციელდეს სპეციალიზებულ სერვისცენტრებში ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლებიც დაშორებულია ზედაპირული წყლის ობიექტებიდან. საწვავით გამართვა, შემლებისდაგვარად, უნდა განხორციელდეს ავტოგასამართ სადგურებზე. თუ ეს შეუძლებელია, საწვავით გამართვის ადგილი უნდა იყოს აღჭურვილი წყალგაუმტარი საფარითა და ავარიული დაღვრის შემაკავებელი სისტემით. • სამშენებლო მოედანზე უნდა მოეწყოს სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო შენახვის ადგილი და უზრუნველყოფილი იყოს დაღვრაზე რეაგირების კომპლექტების (Spill Kits) ხელმისაწვდომობა. მუშაკებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგი ნავთობპროდუქტებისა და სხვა სახიფათო ნივთიერებების შემთხვევითი დაღვრის შეკავებისა და გაწმენდის პროცედურების შესახებ. • მშრალ და ქარიან ამინდში რეგულარულად უნდა განხორციელდეს მისასვლელი გზებისა და სამუშაო უბნების მორწყვა მტვრის წარმოქმნისა და გავრცელების შესამცირებლად.	
მუშაკთა ბანაკის (არსებობის შემთხვევაში) ფუნქციონირება	• ტერიტორიის დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. • ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება	• სამშენებლო მოედანზე რეგულარულად უნდა განხორციელდეს დასუფთავების სამუშაოები. საყოფაცხოვრებო ნარჩენები უნდა შეგროვდეს სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში, რომელთა დაცლა რეგულარულად უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამსახურმა. • შესაბამის მუნიციპალიტეტთან უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება მუნიციპალური ნარჩენების გატანისა და ნარჩენების კონტეინერებით უზრუნველყოფის შესახებ. • მუშაკების სანიტარიული საჭიროებებისათვის სამშენებლო მოედანზე უნდა განთავსდეს ბიოტუალეტები, რომელთა მომსახურებას რეგულარულად უნდა	კონტრაქტორი ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
	თხევადი ჩამდინარე წყლებით.	ახორციელებდეს შესაბამისი ნებართვის მქონე ნარჩენების მართვის კომპანია. იმ შემთხვევაში, თუ ბიოტუალეტების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია, უნდა მოეწყოს საკანალიზაციო ორმოები, რომელთა რეგულარულ დაცლას უზრუნველყოფს სპეციალიზებული ასენიზაციის მანქანა, ხოლო ჩამდინარე წყლები გატანილი უნდა იქნეს უახლოეს უფლებამოსილ საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაში. • ჩამდინარე წყლების გატანისა და განთავსების მომსახურების უზრუნველსაყოფად კონტრაქტორმა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება შესაბამისი ნებართვის მქონე მომსახურების მიმწოდებელ კომპანიასთან.	
არასახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	• გარემოს დაბინძურება სამშენებლო ნარჩენებით. • ჭარბი გრუნტისა და მასალების არასათანადო განთავსებით ლანდშაფტისა და ზედაპირული წყლის ობიექტების დაზიანება.	• სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მაქსიმალურად შემცირება. • წარმოქმნილი ნარჩენები უნდა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: - **ხელახლა გამოყენებადი და გადამუშავებადი ნარჩენები** უნდა გამოიყოს ცალკე. შესაძლებლობის ფარგლებში, ნარჩენები ხელახლა უნდა იქნეს გამოყენებული, გარდა აზბესტის შემცველი ნარჩენებისა. გადამუშავებადი ნარჩენები (მაგ., ქაღალდი, პლასტმასი, ლითონი) უნდა გადაეცეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შემგროვებელ ან გადამამუშავებელ კომპანიებს. - **საყოფაცხოვრებო ნარჩენები** უნდა შეგროვდეს ცალკე და მათი გატანა უნდა უზრუნველყოს შესაბამისმა მუნიციპალურმა მომსახურების მიმწოდებელმა. - **სამშენებლო ნარჩენები** უნდა შეგროვდეს ცალკე, დროებით განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და შემდგომ გადატანილ იქნეს შესაბამის მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ საბოლოო განთავსების ადგილებზე ან ნებართვის მქონე სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, ნარჩენების სახეობისა და მოცულობის შესაბამისად. • სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია ნარჩენების ჭარბი რაოდენობით დაგროვება. მათი გატანა უნდა განხორციელდეს რეგულარულად. • ყველა მუშაკსა და პროექტში ჩართულ პერსონალს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნარჩენების მართვის დადგენილი წესების შესახებ. კონტრაქტორმა უნდა	Contractor

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		უზრუნველყოს ნარჩენების სათანადო მართვის პრაქტიკის დაცვა ყველა დასაქმებულის მიერ.	
სახიფათო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	• ნარჩენების მართვაში ჩართული მუშაკების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა. • პროექტის ზემოქმედების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა. • გარემოს დაბინძურება სახიფათო ნარჩენებით. • ჭარბი გრუნტისა და მასალების არასათანადო განთავსებით ლანდშაფტისა და ზედაპირული წყლის ობიექტების დაზიანება.	• აზბესტის შემცველი მასალის შემთხვევითი გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს სამუშაოები შესაბამის უბანზე და განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: - აზბესტის შემცველ მასალებთან მომუშავე ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (PPE), ხოლო მათი გამოყენება უნდა იყოს სავალდებულო და მკაცრად კონტროლდებოდეს. - აზბესტის შემცველ მასალებთან მომუშავე პერსონალის რაოდენობა უნდა შემოიფარგლოს აუცილებელი მინიმუმით. აღნიშნულ მუშაკებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ინსტრუქტაჟი და ტრენინგი აზბესტის უსაფრთხო მართვის წესების შესახებ. - ძლიერი ნალექებით ან წყალდიდობით გამოწვეული დატბორვის შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაავადებების გავრცელების რისკი (მაგალითად, კოღოების გამრავლების შედეგად), საპროექტო კონსულტანტმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მსოფლიო ბანკის ESS4-ის („საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“) მოთხოვნების შესაბამისად. - აზბესტის შემცველი მასალის არასაჭირო დამტვრევა, დაქუცმაცება ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს მტვრის წარმოქმნას, დაუშვებელია. - აზბესტის შემცველი ნარჩენები უნდა მოთავსდეს არანაკლებ **200 მიკრონის სისქის** პოლიეთილენის ჰერმეტულ პარკებში, რომლებზეც განთავსდება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. შეფუთული ნარჩენები დროებით უნდა ინახებოდეს წინასწარ განსაზღვრულ, დაცულ ადგილზე სამშენებლო მოედანზე. - აზბესტის შემცველი ნარჩენები უნდა გადაიტანოს უსაფრთხოდ, შეფუთვის მთლიანობის სრული დაცვით, და განთავსდეს ნებართვის მქონე სანიტარულ ნაგავსაყრელზე, საქართველოს ინფრასტრუქტურის	Contractor

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		სამინისტროს სისტემაში მოქმედ შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. • სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას საწვავი, ნავთობპროდუქტები, აკუმულატორები, საბურავები, ქიმიური ნივთიერებები და სხვა სახიფათო მასალები უნდა ინახებოდეს უსაფრთხოდ, ხოლო მათი გაუვნებელყოფა და/ან გადამუშავება განხორციელდეს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიების მიერ. • სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობის მაქსიმალურად შემცირება. • წარმოქმნილი ნარჩენები უნდა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: - ხელახლა გამოყენებადი და გადამუშავებადი ნარჩენები უნდა გამოიყოს ცალკე. შესაძლებლობის ფარგლებში ისინი ხელახლა უნდა იქნეს გამოყენებული, გარდა აზბესტის შემცველი ნარჩენებისა. გადამუშავებადი ნარჩენები (მაგ., ქაღალდი, პლასტმასი, ლითონი) უნდა გადაეცეს შესაბამის უფლებამოსილ შემგროვებელ ან გადამამუშავებელ კომპანიებს. - საყოფაცხოვრებო ნარჩენები უნდა შეგროვდეს ცალკე და მათი გატანა უნდა უზრუნველყოს შესაბამისმა მუნიციპალურმა მომსახურების მიმწოდებელმა. - სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს ცალკე, დროებით განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და შემდგომ გადატანილ იქნეს შესაბამის მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ საბოლოო განთავსების ადგილებზე ან ნებართვის მქონე სანიტარულ ნაგავსაყრელებზე, ნარჩენების სახეობისა და მოცულობის შესაბამისად. • ყველა მუშაკსა და პროექტში ჩართულ პერსონალს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნარჩენების მართვის დადგენილი წესების შესახებ. კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს ნარჩენების სათანადო მართვის პრაქტიკის დაცვა ყველა დასაქმებულის მიერ. • სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ხმაურის წარმოქმნა.	

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		• ხმაურის გამომწვევი სამშენებლო სამუშაოების შესრულება ღამის საათებში დაუშვებელია, გარდა წინასწარ შეთანხმებული განსაკუთრებული შემთხვევებისა. • სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა დაუშვებელია. დასახლებულ პუნქტებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე უნდა დაწესდეს და მკაცრად გაკონტროლდეს შესაბამისი სიჩქარის შეზღუდვები. • იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების დროს ხმაურის დონე, გარემოს დაბინძურება ან სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობა გადააჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული შექმნილი მდგომარეობისა და დაგეგმილი რეაგირების შესახებ.	
ხმაურის გამომწვევი სამუშაოების განხორციელება	- ადგილობრივი მოსახლეობისათვის დისკომფორტის (ნიუსანსის) შექმნა. • მუშაკების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება.	• სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ზედმეტი ხმაურის წარმოქმნა. • ხმაურის გამომწვევი სამშენებლო სამუშაოების შესრულება ღამის საათებში დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი ნებართვა მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. • სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა დაუშვებელია. დასახლებულ პუნქტებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე უნდა დაწესდეს შესაბამისი სიჩქარის შეზღუდვები და უზრუნველყოფილი იყოს მათი მკაცრი დაცვა. • იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების შედეგად ხმაურის დონე, გარემოს დაბინძურება ან სატრანსპორტო მოძრაობის ინტენსივობა გადააჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და ადგილობრივი მოსახლეობა დროულად უნდა იქნეს ინფორმირებული არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი რეაგირების შესახებ.	Contractor

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
შრომითი რესურსების მართვა	• მუშაკთა შრომითი უფლებების დარღვევა. • სამუშაო ადგილზე ტრავმების, პროფესიული დაზიანებებისა და ფატალური შემთხვევების რისკი. • სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის / სექსუალური შევიწროების (SEA/SH) რისკი.	• უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის, დამტკიცებული შრომითი რესურსების მართვის პროცედურების (LMP) და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნების დაცვა, მათ შორის სამუშაო დროის, მინიმალური ანაზღაურების, დასაქმების მინიმალური ასაკის, გაერთიანების თავისუფლების, ასევე დისკრიმინაციის, იძულებითი და ბავშვთა შრომის აკრძალვის ნაწილში. • უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა მუშაკთა უფლებების დარღვევის პრევენციის, შრომითი დავების ეფექტიანი გადაწყვეტისა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილობრივი არაკვალიფიციური და ნახევრად კვალიფიციური მუშახელის დასაქმების პრიორიტეტულად უზრუნველყოფის მიზნით. • ყველა დასაქმებულთან უნდა გაფორმდეს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. • უნდა მომზადდეს და განხორციელდეს შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის გეგმა (Occupational Health and Safety Plan), რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESSs) მოთხოვნებს. სამშენებლო მოედანზე უნდა დაინიშნოს შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი. • ყველა მუშაკი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (PPE), მათი გამოყენება უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო სამუშაო ადგილზე მოქმედი უსაფრთხოების წესები მკაფიოდ უნდა იქნეს კომუნიცირებული. მუშაკებს რეგულარულად უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები და ინსტრუქტაჟები შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე. • ყველა ინციდენტი და უბედური შემთხვევა უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და აღრიცხული. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის სისტემის ფუნქციონირება და, საჭიროების შემთხვევაში, დროულად განხორციელდეს შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები.	Contractor/CSC

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		• მუშაკებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, მათ შორის ტუალეტები, ხელის დასაბანი ადგილები, უსაფრთხო სასმელი წყალი, კვებისა და დასვენების სივრცეები, აგრეთვე პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი საშუალებები. • მუშაკთა საჩივრების განხილვის მექანიზმი (Workers' GRM) უნდა ფუნქციონირებდეს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში და იყოს ხელმისაწვდომი ყველა დასაქმებულისთვის. • სამუშაოს დაწყებამდე თითოეულმა მუშაკმა უნდა გაეცნოს, ხელი მოაწეროს და დაიცვას ქცევის კოდექსის (Code of Conduct) მოთხოვნები. • ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მუშაკის სამშენებლო მოედნიდან ჩამოშორება ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.	
სამუშაოების განხორციელება დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს	• ადგილობრივი მოსახლეობისათვის დისკომფორტის (ნიუსანსის) შექმნა. • კონფლიქტების წარმოშობა კონტრაქტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. • სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის / სექსუალური შევიწროების (SEA/SH) რისკი.	• დაინიშნოს საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) საკონტაქტო პირი (Focal Point), რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე, მათი განცხადებების, შეკითხვებისა და საჩივრების მიღებასა და კოორდინირებულ განხილვაზე. • ადგილობრივ თემებთან რეგულარულად ჩატარდეს კონსულტაციები, რათა დროულად გამოვლინდეს და პრევენციულად იმართოს კონტრაქტორის გარე მუშახელსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტები. • სამშენებლო უბნების თვალსაჩინო ადგილებში განთავსდეს საინფორმაციო ბანერები, რომლებზეც მითითებული იქნება კონტრაქტორის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლოს შეკითხვების დასმა ან საჩივრების წარმოდგენა. • ადგილობრივი მოსახლეობა წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმ დროებითი შეზღუდვების, დისკომფორტისა და შესაძლო რისკების შესახებ, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს გარე მუშახელის ყოფნით ან სამშენებლო სამუშაოების განხორციელებით დასახლებული პუნქტების სიახლოვეს. • მუშაკებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები ადგილობრივ მოსახლეობასთან ეთიკური და პროფესიული ურთიერთობის წესების შესახებ.	Contractor

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		უნდა შემუშავდეს და მკაცრად აღსრულდეს ქცევის კოდექსი (Code of Conduct), რომელიც შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და პროექტის შრომითი რესურსების მართვის პროცედურებს (LMP). მისი დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი დისციპლინური ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა და/ან ფინანსური სანქციები. • შესაძლებლობის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიგეგმოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვისა და მოსავლის აღების პერიოდების მიღმა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან მინიმუმამდე შემცირდეს ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობის შეფერხება. მოსახლეობას წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებისა და მათი განხორციელების გრაფიკის შესახებ. • სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მისასვლელი გზებითა და მონიშნული სამუშაო ზონებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მცენარეულ საფარსა და ნიადაგზე ზედმეტი ზემოქმედება. ხმაურის გამომწვევი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ 08:00 საათიდან 19:00 საათამდე. • მუშაკთა ბანაკები (მათი მოწყობის საჭიროების შემთხვევაში) არ უნდა განთავსდეს დასახლებული პუნქტების უშუალო სიახლოვეს. სამშენებლო მოედანი უნდა იყოს სათანადოდ მონიშნული და შემოღობილი. სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილები უნდა შეირჩეს ისე, რომ არ შეიზღუდოს სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა თავისუფალი გადაადგილება. • იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიშობა დამატებითი მიწის ნაკვეთის გამოყენების აუცილებლობა, რომელიც არ იყო შეძენილი ან კანონმდებლობის შესაბამისად ხელმისაწვდომი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პროექტის განმახორციელებელ ერთეულს. კონტრაქტორი არ უნდა აწარმოებდეს მოლაპარაკებებს ადგილობრივ მოსახლეობასთან აღნიშნულ საკითხზე, არ უნდა შევიდეს შესაბამის ტერიტორიაზე და არ უნდა დაიწყოს რაიმე სამუშაო, ვიდრე PIU არ დაასრულებს საჭირო პროცედურებს (მათ შორის,	

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		საჭიროების შემთხვევაში, მიწის შესყიდვისა და განსახლების პროცესს) და ოფიციალურად არ გასცემს სამუშაოების დაწყების ნებართვას.	
სამუშაოების განხორციელება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან ახლოს და/ან მათ ფარგლებში	• ადგილობრივი მოსახლეობისათვის დისკომფორტის (ნიუსანსის) შექმნა. • კერძო საკუთრებაზე მისაწვდომობისა და მისი გამოყენების დროებითი შეზღუდვა. • კერძო საკუთრების დაზიანება.	• დაინიშნოს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე, მათი განცხადებების, შეკითხვებისა და საჩივრების მიღებასა და კოორდინირებულ განხილვაზე. • ადგილობრივ თემებთან რეგულარულად ჩატარდეს კონსულტაციები, რათა დროულად გამოვლინდეს და პრევენციულად იმართოს კონტრაქტორის გარე მუშახელსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტები. • სამშენებლო უბნების მიმდებარე თვალსაჩინო ადგილებში განთავსდეს საინფორმაციო ბანერები, რომლებზეც მითითებული იქნება კონტრაქტორის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, რათა ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საჩივრები, დასვას შეკითხვები ან მიიღოს საჭირო ინფორმაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ. • ადგილობრივი მოსახლეობა წინასწარ და რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული იმ დროებითი დისკომფორტისა და შესაძლო რისკების შესახებ, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებითა და გარე მუშახელის დასახლებული პუნქტების სიახლოვეს ყოფნით. • ყველა მუშაკს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი ადგილობრივ მოსახლეობასთან ეთიკური და პროფესიული ურთიერთობის პრინციპების შესახებ. კონტრაქტორმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ქცევის კოდექსი (Code of Conduct), რომელიც შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და პროექტის შრომითი რესურსების მართვის პროცედურებს (LMP), და უზრუნველყოს მისი მკაცრი შესრულება. ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი დისციპლინური ზომები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სამშენებლო მოედნიდან მუშაკის ჩამოშორება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და/ან ადეკვატური ფინანსური სანქციების დაკისრება.	Contractor

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის აღდგენა (რეკულტივაცია)	• ლანდშაფტზე გადაჭარბებული ზემოქმედება. • სამშენებლო ნარჩენებითა და ჭარბი მასალებით გზის განთვისების ზოლის (ROW) ნარჩენი დაბინძურება.	სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ: • სამშენებლო მოედანზე არ დარჩეს სამშენებლო ნარჩენები, ჭარბი გრუნტი ან სხვა ზედმეტი მასალები. • ყველა თხრილი სათანადოდ შეივსოს, ნაყოფიერი ნიადაგის ფენა (Topsoil) აღდგეს და გადანაწილდეს, ხოლო არხის განთვისების ზოლი (Right-of-Way – ROW) მაქსიმალურად დაუბრუნდეს ბუნებრივ ან სამუშაოების დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას. • სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყენებული მისასვლელი გზები აღდგეს არანაკლებ სამუშაოების დაწყებამდე არსებული მდგომარეობისა ან გაუმჯობესებული მდგომარეობით. • ადგილობრივი მოსახლეობის ღობეების, მილსადენების ან სხვა კერძო ქონების ნებისმიერი შემთხვევითი დაზიანება სრულად ანაზღაურდეს შესაბამისი კომპენსაციის გადახდით ან დაზიანებული ინფრასტრუქტურის თავდაპირველ ან უკეთეს მდგომარეობამდე აღდგენით.	Contractor
ოპერირების ფაზა			
ნარეკვავის სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება შპს „საქართველოს მელიორაციის“ სერვისცენტრის ოპერატორების მიერ	სარწყავი სისტემის არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული დატბორვა, ნიადაგის ეროზია და დამლაშება.	• ჩატარდეს შესაბამისი ტექნიკური ტრენინგები შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA) სერვისცენტრის ოპერატორებისთვის სარწყავი სისტემის ეფექტიანი ექსპლუატაციისა და მართვის საკითხებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სისტემის გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება, წყლის რეგულარული მართვა და დატბორვისა და ნიადაგის დამლაშების რისკების პრევენცია. • სარწყავ სისტემაზე რეგულარულად განხორციელდეს როგორც გეგმური ტექნიკური მომსახურების, ისე ავარიული სარემონტო სამუშაოები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სისტემის გაუმართაობა და უზრუნველყოფილი იყოს მისი საიმედო და უწყვეტი ფუნქციონირება.	საქართველოს მელიორაცია

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
სარწყავი მომსახურების მიწოდება წყლის მომხმარებლებ ისთვის	• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ჭარბი ან არასწორი მორწყვის შედეგად ნიადაგის ეროზია და დამლაშება. • არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების არასათანადო ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების შედეგად წყლის დანაკარგები, მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა და ჭარბტენიანობის (წყლით გაჯერების) წარმოქმნა.	• განხორციელდეს საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სარწყავი წყლის მომხმარებლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სარწყავი წყლის რაციონალურ, ეფექტიან და მდგრად გამოყენებას, ასევე კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვას. • სარწყავ სისტემაზე რეგულარულად განხორციელდეს როგორც გეგმური ტექნიკური მომსახურების, ისე ავარიული სარემონტო სამუშაოები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სისტემის გაუმართაობა და უზრუნველყოფილი იყოს მისი საიმედო და უწყვეტი ფუნქციონირება.	საქართველოს მეიორაციის სერვის ცენტრი
სარწყავი სისტემის მომხმარებლებ ს მიერ	• პესტიციდების არასათანადო გამოყენებისა და მათი ტარის არასწორი მართვის შედეგად გარემოს	• განხორციელდეს საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სარწყავი წყლის მომხმარებლებისთვის პესტიციდების უსაფრთხო და რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინტეგრირებული მავნებლების მართვის (Integrated Pest Management – IPM) და ინტეგრირებული ვექტორების მართვის (Integrated Vector Management – IVM) მიდგომების პოპულარიზაციისათვის. აღნიშნული მიდგომები მიმართული უნდა იყოს	საქართველოს მეიორაცია

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
პესტიციდების გამოყენება	დაბინძურება, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა. • პესტიციდების ჭარბი ან არასწორი გამოყენების შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაუარესება.	მხოლოდ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მავნებლებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი დაავადებების გადამტანი ორგანიზმების ეფექტიან მართვაზე. • პესტიციდების გამოყენებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასარგებლო ორგანიზმებზე, რომლებიც ბუნებრივ მტაცებლებს ან მავნებლების ბიოლოგიური კონტროლის აგენტებს წარმოადგენენ, ზემოქმედების მაქსიმალური თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება. • პესტიციდების ცარიელი ტარა არ უნდა გადაიყაროს გარემოში. მისი მართვა უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო ფერმერებმა პესტიციდების გამოყენებისას უნდა გამოიყენონ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE). • ფერმერებმა, პირველ რიგში, უნდა გამოიყენონ აგროტექნიკური (კულტურული), ბიოლოგიური და გენეტიკური მეთოდები მავნებლებისა და დაავადებების სამართავად. ქიმიური საშუალებების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ზიანისა და ადამიანებსა და ცხოველებში დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.	
სარწყავი არხების სისტემის ტექნიკური მომსახურება	არხების გაწმენდის პროცესში ამოღებული დანალექებისა (სედიმენტების) და მცენარეული ნარჩენების არასათანადო მართვა.	• უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი არხების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, რათა თავიდან იქნეს აცილებული დიდი რაოდენობით დანალექების (სედიმენტების) და ნარჩენების დაგროვება. • არხების ტექნიკური მომსახურებისა და მცენარეული საფარის გაწმენდის დროს დაუშვებელია ამოღებული მცენარეული ნარჩენების არხში დატოვება მათი ბუნებრივი ლპობის მიზნით. • არხების გაწმენდის შედეგად წარმოქმნილი ორგანული ნარჩენები უნდა შეგროვდეს და დროებით განთავსდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. • ხე-ტყის მასალა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გადაეცეს ადგილობრივ მოსახლეობას შეშის სახით გამოსაყენებლად. • არხებიდან ამოღებული დანალექები (სედიმენტები) უნდა იმართებოდეს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მაგალითად, ადგილობრივი ფერმერებისთვის გადაცემით მათი მოთხოვნის საფუძველზე ან	საქართველოს მეიორაცია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

აქტივობა	რისკი /მოსალოდნელი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	პასუხისმგებელი
		ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე განთავსებით.	

დანართები

დანართი 1. ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

1.1 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგისა და კლასიფიკაციის კითხვარი ქვეპროექტის ზემოქმედების იდენტიფიცირებისთვის

შეიძლება თუ არა ქვეპროექტმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე?	არა. მშენებლობის ეტაპზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარემოზე უმნიშვნელო, დროებით და მოკლევადიან ზემოქმედებას, თუმცა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტი ითვალისწინებს ნარეკვავის არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს სარწყავი წყლის მიწოდების საიმედოობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერას და სარწყავი სისტემის საერთო ფუნქციონირების გაუმჯობესებას. სამშენებლო სამუშაოები იქნება შეზღუდული როგორც მოცულობით, ისე ხანგრძლივობით და განხორციელდება მხოლოდ პროექტისთვის განსაზღვრული საზღვრების ფარგლებში. ყველა საქმიანობა განხორციელდება სამშენებლო ზედამხედველი კომპანიის (CSC) და პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების, ასევე მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო დოკუმენტის (ESF) მოთხოვნების სრულ დაცვას.
რა დადებითი და უარყოფითი გარემოსდაცვითი ზემოქმედებებია მოსალოდნელი ქვეპროექტის განხორციელების შედეგად?	ნარეკვავის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად მოსალოდნელია მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება, რომელიც გამოიხატება სარწყავი მომსახურების ეფექტიანობის აღდგენაში, სარწყავი წყლის მიწოდების საიმედოობის გაუმჯობესებაში, წყლის დანაკარგების შემცირებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ზრდასა და ადგილობრივი ფერმერების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს წყლის რესურსების უფრო ეფექტიან მართვას სარწყავი სისტემის მონიტორინგისა და ოპერაციული მართვის გაუმჯობესების გზით. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებები იქნება დროებითი ხასიათის და ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობის ეტაპთან.

	მათ შორისაა მცენარეული საფარის გაწმენდა, ჭარბი გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, მტვრისა და ხმაურის გავრცელება, სატრანსპორტო მოძრაობის დროებითი შეფერხება, ნიადაგის ლოკალური ეროზია, სამშენებლო მასალებისა და ნავთობპროდუქტების გამოყენებით გამოწვეული დაბინძურების რისკები, ასევე ცხოველთა სამყაროსა და სარწყავი მომსახურების დროებითი შეფერხება. აღნიშნული ზემოქმედებები ეფექტიანად იქნება მართვადი და მინიმუმამდე დაყვანილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით (ESMP) გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების გზით.
შეიძლება თუ არა ქვეპროექტმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებზე?	ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას, რომლის მიზანია სარწყავი მომსახურების გაუმჯობესება და მომსახურების არეალში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერა. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, მოსავლიანობის გაუმჯობესებას, ფერმერების შემოსავლების ზრდასა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მშენებლობის ეტაპზე შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დროებით ზემოქმედებებს, როგორიცაა ხმაური, მტვერი, გარემოს დაბინძურების რისკები და სამშენებლო ტექნიკის გადაადგილებით გამოწვეული დროებითი დისკომფორტი. აღნიშნული ზემოქმედებები იქნება ლოკალური, მოკლევადიანი და სრულად მართვადი, ხოლო მათი პრევენცია და მინიმიზაცია უზრუნველყოფილი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმით (ESMP) გათვალისწინებული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების გზით.

1.2. შემარბილებელი ღონისძიებები

განიხილებოდა თუ არა ქვეპროექტის საპროექტო გადაწყვეტის ალტერნატივები?	**დიახ.** ქვეპროექტის მომზადების პროცესში განხილულ იქნა ორი ალტერნატივა: • „ნულოვანი“ ალტერნატივა - ქვეპროექტის არ განხორციელება; • ნარეკვავის არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი წყლის საიმედო და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად. ალტერნატივების შეფასების შედეგად, უპირატესობა მიენიჭა ნარეკვავის არსებული სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას, ვინაიდან აღნიშნული ვარიანტი უზრუნველყოფს არსებული ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის აღდგენასა და გაუმჯობესებას, სარწყავი წყლის მიწოდების ეფექტიანობის ზრდას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და, ამავდროულად, გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, ვინაიდან სამუშაოები განხორციელდება არსებული სარწყავი სისტემის ფარგლებში.
რა სახის შემარბილებელი ღონისძიებებია შემოთავაზებული?	შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს ნაყოფიერი ნიადაგის დაცვისა და მისი სათანადო დასაწყობების უზრუნველყოფას, მცენარეული საფარის გაწმენდის მინიმუმამდე შემცირებას, ფაუნისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვას, არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვას, ხმაურისა და მტვრის წარმოქმნის შემცირებას, ზედაპირული წყლებისა და წყლის ეკოსისტემების დაცვას, საწვავის, ნავთობპროდუქტების, აკუმულატორების, ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა სახიფათო მასალების უსაფრთხო შენახვას, შრომითი პირობებისა და შრომის უსაფრთხოების ეფექტიან მართვას, ასევე კერძო საკუთრებაზე შესაძლო ზემოქმედების პრევენციასა და მინიმიზაციას. სოციალური თვალსაზრისით, კერძო საკუთრებაზე ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ზიანი ან დროებითი ზემოქმედება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, წინასწარ იქნება დოკუმენტირებული და სათანადოდ შეფასებული. ასეთი შემთხვევები მოგვარდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების,

	კერძოდ, ESS1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების შეფასება და მართვა და ESS5 – მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.
რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული წინა მსგავსი ქვეპროექტებიდან პროექტის დიზაინის მომზადებისას?	პროექტის დიზაინის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა წინა ანალოგიური ქვეპროექტების განხორციელების გამოცდილება, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობისა და ფერმერების ჩართულობის მნიშვნელობა. საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, რათა გათვალისწინებულიყო არსებული სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის გამოცდილება, ფერმერების პრაქტიკული საჭიროებები, არსებული პრობლემები და მათი სამომავლო მოთხოვნები. აღნიშნულმა მიდგომამ ხელი შეუწყო ისეთი ტექნიკური გადაწყვეტილებების შერჩევას, რომლებიც უკეთ პასუხობს ადგილობრივი მომხმარებლების საჭიროებებს და უზრუნველყოფს სარწყავი სისტემის უფრო ეფექტიან, მდგრად და საიმედო ფუნქციონირებას.
ჩართული იყვნენ თუ არა დაინტერესებული თემები ქვეპროექტის მომზადების პროცესში და როგორ იქნა გათვალისწინებული მათი ინტერესები და ცოდნა?	დიახ. ქვეპროექტის მომზადების ეტაპზე საპროექტო კონსულტანტის მიერ, შპს „საქართველოს მელიორაციის“ (GA), მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობით, გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები 2024 წლის 25 სექტემბერს, 2025 წლის 27 მარტს **და** 2026 წლის 4 თებერვალს. შეხვედრები ჩატარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. შეხვედრების ფარგლებში საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინეს ქვეპროექტის წინასწარი დიზაინი, დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობა, მოსალოდნელი შედეგები და შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები. მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, წარედგინათ რეკომენდაციები და დაესვათ კითხვები,

	რომლებიც გათვალისწინებულ იქნა პროექტის შემდგომი დამუშავების პროცესში. გარდა ამისა, განხორციელდა ერთობლივი საველე ვიზიტები, რომელთა ფარგლებში შეფასდა პროექტის შესაძლო ზემოქმედება მიწის საკითხებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე განხილულ იქნა ადგილობრივი ფერმერების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არსებული სარწყავი სისტემის ფუნქციონირების, არსებული პრობლემებისა და მომხმარებელთა საჭიროებების შესახებ. მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა საპროექტო გადაწყვეტილებების დახვეწისა და ქვეპროექტის ადგილობრივ საჭიროებებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

განსახლების სკრინინგი		დიახ	არა
1	ხელმისაწვდომია თუ არა ქვეპროექტის ტერიტორიის საკუთრების, მფლობელობისა და მიწათსარგებლობის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი გადამოწმება? (აღნიშნული ინფორმაციის გარეშე სკრინინგის დასრულება შეუძლებელია)		×
2	შეამცირებს თუ არა ქვეპროექტი (დროებით ან მუდმივად) სხვა პირების ხელმისაწვდომობას მათ ეკონომიკურ რესურსებზე, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყალი, საჯარო მომსახურება ან სხვა რესურსები, რომლებზეც ისინი არიან დამოკიდებული?		×
3	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი ფიზიკურ ან ეკონომიკურ განსახლებას, ან საჭირო გახდება თუ არა მისი განხორციელებისთვის მიწის (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) შესყიდვა?		×
4	გამოიწვევს თუ არა ქვეპროექტი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ხეხილის ან საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა დამხმარე ნაგებობები, ღობეები, არხები, ბეღლები, გარე ტუალეტები, საზაფხულო სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		×
თუ ზემოაღნიშნული კითხვებიდან (პირველი კითხვის გარდა) რომელიმეზე პასუხი არის „დიახ“, მაშინ გამოიყენება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი ESS5 – „მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვები და არანებაყოფლობითი განსახლება“, ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს აღნიშნული სტანდარტისა და პროექტის განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად.			
კულტურული მემკვიდრეობის რესურსების სკრინინგი		Yes	No
5	მოითხოვს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოების განხორციელებას ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		×

თუ მე-5 კითხვაზე პასუხია „დიახ“, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევები უნდა იმართებოდეს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტით (ESMF) განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების (Chance Finds Procedure) შესაბამისად.

1.3. დასკვნა

- ქვეპროექტი უარყოფილია ☐
- ქვეპროექტი მიღებულია ■

ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების შეფასების (ESIA) განხორციელებას. ☐

ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საკონტროლო ნუსხის მომზადებას. ■

დანართი 2. სისტემის სქემატური ნახაზი

ნარეკვავის სარწყავი სისტემის დაგეგმილი რეაბილიტაცია ითვალისწინებს ნარეკვავის წყალსაცავიდან მომარაგებული არსებული თვითდინებითი სარწყავი სისტემის აღდგენას. სისტემა მოიცავს სათავე ნაგებობას, 7.636 კმ სიგრძის მთავარ არხს, 23 წყალგამშვებ/გამანაწილებელ ნაგებობას, აკვედუკს, სიფონს, წყალგამტარ მილებს (კალვერტებს), საფეხმავლო ხიდებს, ასევე წყლის ხარჯის გაზომვისა და მართვის შესაბამის ნაგებობებს.

დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს მთავარი არხისა და სათავე ნაგებობის რეაბილიტაციას, დაზიანებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეცვლას ან რეკონსტრუქციას, არხის ბოლო მონაკვეთის გაუმჯობესებას, ასევე არხის გასწვრივ SCADA სისტემაზე დაფუძნებული მონიტორინგის წერტილების მოწყობას, რაც უზრუნველყოფს სარწყავი სისტემის უფრო ეფექტიან მართვასა და მონიტორინგს.



დანართი 3. ნარეკვავის საირიგაციო სისტემის არსებული მდგომარეობა

ნარეკვავის საირიგაციო სისტემის და მიმდებარე ტერიტორიის აერო ფოტო

სარწყავი ნაკადის მარეგულირებელი ჭიშკარი

არხის გადამკვეთი ხიდი

არსებული ჰიდრავლიკური ნაგებობა

დანართი 4. საჩივრების განხილვის მექანიზმი

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი ESS10 — „დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება“ ითვალისწინებს ადგილობრივი და სხვა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და მათ ჩართულობას პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, აგრეთვე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნას.

საჩივრების განხილვის მექანიზმის (სგმ) მიზანია ხელი შეუწყოს საჩივრებისა და პრეტენზიების დროულ, ეფექტიან და შედეგიან გადაწყვეტას ყველა ჩართული მხარისთვის მისაღები გზით. სგმ უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სანდო პროცესს სამართლიანი, ეფექტიანი და გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად. იგი ასევე აძლიერებს ნდობასა და თანამშრომლობას, როგორც თემებთან კონსულტაციების უფრო ფართო პროცესის განუყოფელი ნაწილი, რაც ხელს უწყობს მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას.

საჩივრების განხილვის მექანიზმი უზრუნველყოფს შავღელეს ქვეპროექტის ფარგლებში წარმოშობილი საჩივრების ეფექტიან, დროულ და ხარჯთეფექტურ განხილვას, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორების თანამშრომლების ქმედებებთან და წარმოდგენილი იყოს დაზარალებული თემების ან სხვა გარე დაინტერესებული მხარეების მიერ.

მუშაკთა საჩივრების განხილვისთვის შემუშავებულია ცალკე საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებულ შრომის მართვის პროცედურაში.

საჩივრების განხილვის მექანიზმის მართვაზე პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი ერთეული. თუმცა, შავღელეს ქვეპროექტის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მრავალი საჩივარი დაკავშირებული იქნება დიზაინის კონსულტანტისა და/ან ქვეკონსულტანტის საქმიანობასთან და, შესაბამისად, მათი განხილვა და გადაწყვეტა სწორედ აღნიშნული მხარეების მონაწილეობით განხორციელდება. პროექტის განმახორციელებელი მათთან ერთად განახორციელებს საჩივრების განხილვის მექანიზმის ადმინისტრირებას, განსაზღვრავს პასუხისმგებელ მხარეს (კონტრაქტორი ან კონსულტანტი) და გადაწყვეტს საჩივრის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. პროექტის განხორციელების კონსულტანტი დახმარებას გაუწევს პროექტის განმახორციელებელ ერთეულს კონტრაქტორის მიერ საჩივრების გადაწყვეტის პროცესის მონიტორინგში.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები და სხვა პოტენციური მომჩივნები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საჩივრების განხილვის მექანიზმის არსებობის, მისი ფუნქციების, პროცედურების, ვადებისა და საკონტაქტო პირების შესახებ საჯარო კონსულტაციებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სხვა ღონისძიებების ფარგლებში. საჩივრებთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა დოკუმენტირებული იქნება და განხორციელდება საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესის სისტემატური მონიტორინგი და აღრიცხვა.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს მიწისა და სხვა აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, კომპენსაციის ოდენობა, დარჩენილი მიწის ნაკვეთების ვარგისიანობა, მისასვლელი გზების დაკარგვა და სხვა), აგრეთვე სარეაბილიტაციო სამუშაოებით გამოწვეულ ზარალსა და დანაკარგებს და ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას. შესაბამისად, საჩივრების განხილვის მექანიზმი უნდა ამოქმედდეს იმ დროისთვის, როდესაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაიწყებს განსახლების სამოქმედო გეგმების და ადგილ-სპეციფიური გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების მომზადებას, და უნდა ფუნქციონირებდეს ყველა სამოქალაქო (სამშენებლო) სამუშაოს დასრულებამდე და შემდგომაც - დეფექტებზე გამოსწორების პერიოდის დასრულებამდე.

კერძოდ, საჩივრების განხილვის მექანიზმი:

- უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების პროცესში დაზარალებული პირებისთვის საჩივრის წარდგენისა და წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ხელმისაწვდომ გზებს;
- უზრუნველყოფს შესაბამისი და მხარეთათვის მისაღები შემარბილებელი/გამოსასწორებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებასა და განხორციელებას მომჩივანთა კმაყოფილების უზრუნველსაყოფად;
- ხელს უწყობს საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვის პროცესის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას;
- მართავს დროის ფაქტორს და თავიდან აცილებს სასამართლო პროცესების აუცილებლობას (ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე).

საჩივრები და პრეტენზიები შემდეგნაირად იყოფა:

საჩივარი: უკმაყოფილების გამოხატვა, რომელიც დაკავშირებულია პროექტის საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებასთან და რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ინდივიდზე ან ჯგუფზე. ინდივიდის ან ჯგუფის ინტერესია, რომ პროექტის განმახორციელებელმა მხარემ, ოპერატორმა ან კონტრაქტორმა განიხილოს და მოაგვაროს აღნიშნული საკითხი (მაგალითად, მტვრის დალექვასთან, ხმაურთან ან ვიბრაციასთან დაკავშირებული პრობლემები). საჩივარი, როგორც წესი, ნაკლებად სერიოზული ხასიათისაა, ვიდრე პრეტენზია.

პრეტენზია: მოთხოვნა ან დავა, რომელიც წამოყენებულია ინდივიდის ან ჯგუფის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი საარსებო წყარო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კულტურული ნორმები ან კულტურული მემკვიდრეობა მიიჩნევა პროექტის საქმიანობით უარყოფითად დაზარალებულად. თუ ასეთი პრეტენზია ეფექტიანად არ იქნება გადაწყვეტილი, მას შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი რისკები.

პირველი კომპონენტის ფარგლებში ტიპური პრეტენზიები შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგ საკითხებს:

- მიწის შესყიდვას და ფიზიკურ განსახლებას;
- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზიანს;
- გარემოსდაცვით ზემოქმედებებს; და
- პირდაპირ და/ან არაპირდაპირ სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, როგორც სახელმწიფო სტრუქტურაში, საჩივრების განხილვის პრაქტიკა ეფუძნება საქართველოს

ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. პროექტის ფარგლებში სამინისტრო მოახდენს საჩივრების განხილვის მექანიზმის პრაქტიკის ადაპტაციას, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს მიეცეს შესაძლებლობა გაასაჩივროს პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ან წამოჭრას ნებისმიერი საკითხი. ყველა ტიპის საჩივარი და პრეტენზია რეგისტრირებული იქნება საჩივრების განხილვის მექანიზმის ფარგლებში. ანონიმური საჩივრებიც მიღებული, აღრიცხული და, შესაძლებლობის ფარგლებში, განხილული და შესწავლილი იქნება.

საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ეტაპი 1: საჩივრის წარდგენა შესაძლებელია წერილობით ან/და სატელეფონო ცხელი ხაზის/მობილური კავშირის, ფოსტის, სოციალური მედიის (მაგ., Facebook და სხვა), ვებგვერდის, საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალის საშუალებით კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით, აგრეთვე უშუალოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. საჩივრების განხილვის მექანიზმი ასევე ითვალისწინებს ანონიმური საჩივრების წარდგენისა და განხილვის შესაძლებლობას.

ეტაპი 2: საჩივრის რეგისტრაცია, კლასიფიკაცია საჩივრების ტიპის და მომჩივანთა კატეგორიების მიხედვით, უფრო ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, და საწყისი პასუხის მიწოდება შესაძლებლობის ფარგლებში უმოკლეს ვადაში. ტიპოლოგია დაეფუძნება როგორც მომჩივნის მახასიათებლებს (მაგ., მოწყვლადი ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ენობრივი ბარიერების მქონე პირები და სხვ.), ასევე საჩივრის ხასიათს.

ეტაპი 3: საჩივრის განხილვა შეიძლება განხორციელდეს სამ ეტაპად, კერძოდ:

საჩივრების განხილვის კომიტეტი (ეტაპი 1)

ეტაპი 1 მოიცავს საჩივრის არაფორმალურ (ზეპირ) განხილვას, მიუხედავად იმისა, საჩივარი წარდგენილია წერილობით თუ ზეპირად. მუნიციპალიტეტში შეიქმნება ადგილობრივი საჩივრების განხილვის კომიტეტი, რომლის ოფისი განთავსებული იქნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. საჩივრის რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი ადგილობრივი საჩივრების განხილვის კომიტეტი ჩაერთვება საჩივრის გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.

ამ ეტაპზე საჩივარი განიხილება არაფორმალურად (ზეპირი განხილვის გზით), ხოლო საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრები ამ საკითხზე ამზადებენ და ხელს აწერენ სხდომის ოქმს. თუ პირველ ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივარი ვერ გადაწყდა, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საჩივრების განხილვის პროცედურის შესახებ. ამასთან, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს მე-2 ეტაპის პროცედურებით პირველი ეტაპის გამოყენების გარეშე. 1-ელი ეტაპის ფარგლებში საჩივრის გადაწყვეტის ვადაა 7 კალენდარული დღე. საჩივრების განხილვის კომიტეტი შეიკრიბება საჭიროებისამებრ (თუმცა არანაკლებ თვეში ერთხელ). კონფიდენციალური ხასიათის საჩივრებისთვის გათვალისწინებული იქნება სპეციალური პროცედურები. საჩივრების განხილვის კომიტეტი წარმოადგენს ცხრა (9) წევრისგან შემდგარ კოლეგიურ ორგანოს, რომელიც მოიცავს შემდეგ წევრებს:

- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდის წევრი - კომიტეტის კოორდინატორი;

- მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის სოციალური დაცვის სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- რეგიონული/მუნიციპალური წარმომადგენელი („გამგეობიდან“) - კომიტეტის მდივანი;
- სოფლის რწმუნებული - კომიტეტის წევრი;
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის (PAP) წარმომადგენელი - კომიტეტის წევრი;
- ქალი - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საოჯახო მეურნეობის (AH) წარმომადგენელი - კომიტეტის წევრი;
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის (NGO) წარმომადგენელი, საჩივრის ხასიათის გათვალისწინებით - კომიტეტის წევრი;
- მშენებლობის ზედამხედველობის კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი ადგილობრივი სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- სამშენებლო კომპანიის სოციალური და გარემოსდაცვითი ადგილობრივი სპეციალისტი - კომიტეტის წევრი.

საჩივრების განხილვის კომიტეტის წევრები მოწვეულნი იქნებიან განსახილველი საჩივრების ტიპის შესაბამისად. სხდომა დაიწყება მომჩივანთა მონაწილეობის გარეშე და მოიცავს ბოლო სხდომის შემდეგ მიღებული ყველა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივრის განხილვას, აგრეთვე გასული ერთი ან ორი კვირის განმავლობაში წამოჭრილი ყველა პრეტენზიისთვის გადაწყვეტის წინადადებების შემუშავებას. ამის შემდეგ, საჩივრების განხილვის კომიტეტი მოიწვევს იმ მომჩივანებს, რომელთა საჩივრებიც წინა შეხვედრაზე იქნა განხილული, შემოთავაზებული გადაწყვეტილებების განსახილველად.

თითოეული საჩივრის შემთხვევაში, საჩივრების განხილვის კომიტეტი განსაზღვრავს, საჭიროებს თუ არა საკითხი დამატებით გამოძიებას. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია შეგროვდება მომდევნო სხდომამდე და წინასწარ გადაეცემა შესაბამის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს. ამის შემდეგ, საჩივრების განხილვის კომიტეტი აცნობებს ამ პირს სხდომის ჩატარების თარიღს, დროსა და ადგილს და ოფიციალურად მოიწვევს მას შეხვედრაზე.

საჩივრების განხილვის კომიტეტი მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტის შესაძლო გზებს. კომიტეტი შეადგენს და ხელს მოაწერს საკითხის განხილვის სხდომის ოქმს. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი ასევე ხელს მოაწერს ოქმს შეთანხმების დასადასტურებლად. თუ პროექტის ფარგლებში შეთანხმებულია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები დეტალურად აისახება სხდომის ოქმში. თუ საჩივარი კვლავ გადაუწყვეტელი დარჩება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს განემარტება მე-2 ეტაპის ფარგლებში საჩივრის განხილვის პროცედურა.

საჩივრის განხილვა ცენტრალურ დონეზე (მე-2 ეტაპი)

ამ ეტაპზე საჩივრის განხილვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დონეზე. 1-ელი ეტაპის ფარგლებში გადაუწყვეტელი საჩივრები, მომჩივნის თანხმობის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით გადაეგზავნება სამინისტროს. ანალოგიურად, ის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც

უკმაყოფილონი არიან საჩივრების განხილვის კომიტეტის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილნი არიან წარადგინონ საჩივარი სამინისტროში, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის დონეზე. კომიტეტიდაეხმარება მომჩივანს ოფიციალური საჩივრის მომზადებასა და წარდგენაში. სამინისტროს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი (GM Focal Point) განიხილავს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების იმ წერილობით საჩივრებს, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა 1-ელ ეტაპზე და მათ შიდა წესით გადასცემს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისა და გადაწყვეტის მიზნით. საჩივრის შესაბამის დეპარტამენტში გადამისამართების ვადა შეადგენს 10 კალენდარულ დღეს. მომჩივანს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი რეაგირების ვადების შესაბამისად.

სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისია (მე-3 ეტაპი)

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ვერ გადაწყდა მე-2 ეტაპზე შესაბამისი დეპარტამენტის მიერ, საკითხი წარედგინება სამინისტროს საჩივრების განხილვის კომისიას. კომისია განიხილავს საჩივარს და მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მომჩივანს წერილობით ეცნობება. თუ სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს დაზარალებულ პირებს, მათ უფლება აქვთ გააგრძელონ დავის გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. საჩივრების განხილვის კომისიის შემადგენლობა შემდეგია:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) გამგეობის წევრი - საჩივრების განხილვის კომისიის თავმჯდომარე;
- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირი (GRM Focal Point) პროექტის განმახორციელებელი ერთეულში (PIU) - კომისიის წევრი;
- იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- განსახლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- ტექნიკური ზედამხედველობისა და საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
- განსახლებისა და სოციალური საკითხების კონსულტანტი - კომისიის წევრი;
- გარემოსდაცვითი კონსულტანტი - კომისიის წევრი.

საჩივრების გადაწყვეტა

საჩივარი ჩაითვლება „გადაწყვეტილად“ ან „დახურულად“ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღწეული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმება და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებები წარმატებით განხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ პროექტსა და მომჩივანს შორის შეთანხმდება შემოთავაზებული გადაწყვეტა, მისი განხორციელებისთვის საჭირო დრო დამოკიდებული იქნება გადაწყვეტის ხასიათზე. მიუხედავად ამისა, შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება დაიწყება საჩივრის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და გაგრძელდება მათი სრულად დასრულებამდე მონიტორინგით. მას შემდეგ,

რაც გადაწყვეტა განხორციელდება ან განხორციელების პროცესი დამაკმაყოფილებელი იქნება მომჩივნისთვის, საჩივრის დახურვის ფორმა ხელს მოეწერება ორივე მხარის მიერ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდის და მომჩივნის მიერ - რაც დაადასტურებს, რომ მომჩივანი თვლის თავის საჩივარს დახურულად. ამის შემდეგ საჩივარი დაარქივდება პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზაში. მუდმივად იწარმოება საჩივრების დეტალური რეგისტრაციის ჟურნალი და წარედგინება მსოფლიო ბანკის გუნდს.

ზოგიერთ შემთხვევაში, პროექტს შეუძლია საჩივარი „დახურულად" მიიჩნიოს მაშინაც კი, როდესაც მომჩივანი უკმაყოფილოა მიღებული შედეგით. ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მომჩივანი ვერ ამტკიცებს საჩივარს შესაბამისი მტკიცებულებებით, ან საჩივარი აშკარად სპეკულაციური ან თაღლითური ხასიათისაა. ასეთ სიტუაციებში პროექტის მიერ საჩივრის შესწავლისა და დასკვნის მიღების პროცესში გაწეული ყველა ქმედება დეტალურად იქნება დოკუმენტირებული და მომჩივანი სათანადოდ იქნება ინფორმირებული. პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდი არ დახურავს საჩივარს ზედაპირული განხილვის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს დახურვის გადაწყვეტილებას, თუ მომჩივანს ეცნობება აღნიშნული ვითარება და მას მიეცემა შესაძლებლობა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები.

საჩივრების აღრიცხვა და დოკუმენტირება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დანიშნავს საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირს, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების მონაცემთა ბაზის მართვას და ყველა მიღებული საჩივრის აღრიცხვას. მონაცემთა ბაზა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: საჩივრის წარმომდგენი პირის ან ორგანიზაციის დასახელებას; საჩივრის წარდგენის თარიღსა და ხასიათს; გატარებულ შემდგომ რეაგირების ღონისძიებებს; კონტრაქტორის ან სხვა შესაბამისი მხარის მიერ განხორციელებულ გადაწყვეტილებებსა და მაკორექტირებელ ღონისძიებებს; საბოლოო შედეგს; აგრეთვე ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ და როდის ეცნობა ეს გადაწყვეტილება მომჩივანს.

ზედამხედველობის საკონსულტაციო კომპანია საჩივრების მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ასახავს საკუთარ ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშებში. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება ასევე სამინისტროს ნახევარწლიურ და წლიურ საჯარო ანგარიშებში. საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის საკონტაქტო ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე გსმგ-ში.

პროექტის შესახებ ინფორმაცია და მომავალი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებგვერდზე და განთავსდება საინფორმაციო დაფებზე პროექტის ზემოქმედების არეალში მდებარე სოფლებში. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აგრეთვე საჩივრების განხილვის მექანიზმის საკონტაქტო პირის მეშვეობით.

საჩივრებთან დაკავშირებული მთელი მიმოწერა დოკუმენტირებული იქნება, ხოლო საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესი სისტემატურად აღირიცხება საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალში.

საჩივრების რეგისტრაციის ჟურნალი.

მომჩივანის სახელი: მომჩივანის ინსტიტუციური კუთვნილება: ანგარიშის მომზადების თარიღი:
პროექტის დასახელება: კრედიტორის/გრანტის მიმღების დასახელება: საჩივრის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პირის სახელი (არსებობის შემთხვევაში):

საჩივრის ხასიათი	რეაგირება	გატარებული ღონისძიებები	შემდგომი განვითარება

პროექტის კონსულტანტი/ქვეკონსულტანტი კომპანიები ყოველთვიურ მონიტორინგის ანგარიშებში წარმოადგენენ ინფორმაციას საჩივრების მართვის შესახებ საჯარო საჩივრების ანგარიშის ფორმის ფარგლებში. საჩივრების მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშებში.

საჯარო საჩივრების ანგარიშის ფორმა

საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ოფიცერი	მომჩივნის სახელი (თუ საჩივარი არ არის ანონიმური)	საჩივრის ხასიათი	გატარებული ღონისძიებები / განხორციელებული გამოსასწორებელი ქმედებები	შემდგომი მოვლენები	საჩივრების საერთო რაოდენობა	გადაწყვეტილი საჩივრების რაოდენობა

დანართი 5. საჯარო განხილვის ოქმი

დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო

შეხვედრის ოქმი

შეხვედრის ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მჭადიჯვარი
შეხვედრის თარიღი: 8 მაისი, 2026
მონაწილეთა რაოდენობა: 10

განხილული საკითხები

საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო ნარეკვავის მაგისტრალური არხის სისტემის რეაბილიტაციის პროექტის გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების განხილვა.

შეხვედრა გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვარში ადგილობრივი ხელისუფლების, სოფლის მოსახლეობისა და პროექტის წარმომადგენლების მონაწილეობით.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

- სოფელ მჭადიჯვრის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა;
- პროექტის საინჟინრო ჯგუფი;
- გარემოს დაცვის, სოციალური და შრომის უსაფრთხოების გუნდი.

პროექტის საინჟინრო ნაწილი წარადგინა პროექტის ინჟინერმა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა არხის ტექნიკურ მახასიათებლებზე, პროექტის არეალზე, გამავალი სოფლების შესახებ და იმ სასოფლო-სამეურნეო ფართობებზე, რომლებიც რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მოირწყვება.

ასევე, გარემოს დაცვისა და სოციალური მიმართულების წარმომადგენლებმა დამსწრეებს გააცნეს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები, უსაფრთხოების სტანდარტები და მშენებლობის პერიოდში გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები. დეტალურად განიხილეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა.

წამოჭრილი კითხვები და პასუხები

1. რამდენი ხანი გაგრძელდება სამუშაოები და ხომ არ შეაფერხებს სარწყავ სეზონს?

პასუხი:
პროექტის წარმომადგენლების განმარტებით, სამუშაოების დაგეგმვა მოხდება ისე, რომ სარწყავ სეზონს ხელი არ შეეშალოს და მოსახლეობას წყალმომარაგების მხრივ შეფერხება არ შეექმნას.

2. როდის გახდება ცნობილი სამუშაოების დაწყების ზუსტი თარიღი?

პასუხი:
სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე ტენდერი გამოცხადებულია. სატენდერო

პროცედურების დასრულების შემდგომ გამოვლინდება სამშენებლო კონტრაქტორი, ხოლო სამუშაოების დაწყების შესახებ მოსახლეობას ეცნობება წინასწარ

3. მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა შეშფოთება, რომ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ არხის გასწვრივ არ დარჩეს ნაგავი და სამშენებლო ნარჩენები.

პასუხი:
პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გარემოსდაცვითი, სოციალური და შრომის უსაფრთხოების გუნდის განმარტებით, პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება და გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები მკაცრად კონტროლდება. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ნარჩენების მართვასა და ტერიტორიის დასუფთავებას. ამასთანავე, ნარჩენების მართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხია, შესაბამისად აღნიშნული საკითხი დეტალურად არის გაწერილი პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შეხვედრის ძირითადი მიგნებები

შეხვედრის ფარგლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარდაჭერა გამოხატა პროექტის მიმართ და აღნიშნა, რომ სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას.

მოსახლეობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა:

- სამუშაოების დროულ და ეფექტიან განხორციელებაზე;
- სარწყავი სეზონის შეუფერხებლად ჩატარებაზე;
- გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვაზე;
- სამშენებლო ნარჩენების მართვასა და ტერიტორიის მოწესრიგებაზე.

დამსწრეთა სია



[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]
[redacted]	[redacted]	[redacted]